გალტ ენდ თაგარტის საბროკერო მომსახურების პირობები

პრეამბულა

ვინაიდან, **კლიენტი** გამოთქვამს სურვილს წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, **კომპანიის** დახმარებით, შეისყიდოს და გაყიდოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდები, რომელთა იდენტიფიცირებასაც **კლიენტი** დროდადრო ახდენს **კომპანიისათვის**;

ვინაიდან, **კლიენტის** სურვილია, რომ აგრეთვე ისარგებლოს **კომპანიის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული სხვა მომსახურებით;

ვინაიდან, **მხარეების** მიერ მომსახურების სპეციფიკა განისაზღვრება ყოველი კონკრეტული ოპერაციისათვის **კლიენტის** სურვილიდან, ოპერაციის არსებითი პირობებიდან და **კლიენტის** დავალებებიდან გამომდინარე;

ამდენად, **მხარეები** დებენ წინამდებარე **ხელშეკრულებას** შემდეგი პირობებით:

1. **განმარტებები**

წინამდებარე ხელშეკრულებაში (შემდგომში - „**ხელშეკრულება**“) ქვემოთ მოყვანილი ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობებით:

1.1. „**ამონაწერი**“ განსაზღვრულია **ხელშეკრულების** მე-11 მუხლით.

1.2. „**ანგარიშის ნაშთი**“ არის **კლიენტის** ანგარიშზე არსებული **აქტივების** ერთობლივი ღირებულება. **ანგარიშის ნაშთის** დაანგარიშებისას, ფასიანი ქაღალდების ღირებულება გამოითვლება **შეფასების მეთოდის** მიხედვით.

1.3. „**ანგარიშსწორების დღე**“ არის სამუშაო დღე, როდესაც გადასახდელი თანხა ერთი მხარის მიერ გადაერიცხება მეორე მხარეს მის საბანკო ანგარიშზე, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული მხარეების მიერ ან/და ხდება ფასიანი ქაღალდების გადაცემა ერთი მხარის მიერ მეორე მხარის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე.

1.4. „**განაცხადი**“ არის **კლიენტის** მიერ სს „გალტ ენდ თაგარტთან“ ანგარიშის გახსნის და ფლობის მიზნით ხელმოწერილი შესაბამისი განაცხადი.

1.5. „**არააქტიური ანგარიში**“ არის ანგარიში, რომელიც არ არის აქტიური ანგარიში.

1.6. „**არსებითი პირობები**“ ნიშნავს გარიგების დადასტურების და სხვა შესაბამისი ოპერაციების ყველა პირობას, რომლებზეც თანხმდებიან მხარეები **კომპანიის** მიერ **კლიენტის** დავალების მიღებისას. არსებითი პირობები, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გარიგების განხორციელების თარიღი;
- ანგარიშსწორების თარიღი;
- დავალების ტიპი (ყიდვა, გაყიდვა, დავალება ფასზე ლიმიტით, დავალება ძალაშია მის გაუქმებამდე, ა.შ.);
- ემიტენტი;
- ფასიანი ქაღალდების ტიპი;
- ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ფასიანი ქაღალდების ღირებულება შესაძლოა დაფიქსირდეს ნომინალური ღირებულების პროცენტში);
- მთლიანი ნომინალური ღირებულება ან/და ფასიანი ქაღალდების რაოდენობა (რომელიც შესაძლებელია);
- გადასახდელი თანხა (კომპანიის გასამრჯელოს ჩათვლით).

1.7. „**აფილირებული პირი**“ არის პირი, რომელსაც აქვს მეორე პირთან მიმართებით შემდგომიდან ერთ- ერთი ურთიერთობა მაინც:

- პირები არიან ერთი იურიდიული პირის დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ან/და
- ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მეორე პირის წილის/აქციების 20 პროცენტს ან მეტს; ან/და
- ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს; ან/და
- ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს; ან/და
- პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; ან/და
- პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; ან/და
- პირები ნათესავები არიან; ან/და
- პირები ამხანაგობის წევრები არიან.

ამ დეფინიციის მიზნებისთვის კონტროლი გულისხმობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, დირექტორობას ან ამ თანამდებობებზე პირების დანიშვნის უფლებას; ან/და ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას.

ამ დეფინიციის მიზნებისთვის ნათესავებად ითვლებიან პირები, როგორც ეს განმარტებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 19.3 და 19.4 მუხლების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტში.

1.8. „**აქტივები**“ არის **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები.

1.9. „**აქტიური ანგარიში**“ არის ანგარიში, რომელზეც ხდება თვეში მინიმუმ ერთი ან მეტი ოპერაციის წარმოება **კომპანიის** მიერ ნებისმიერი გადასახდელის დარიცხვის ჩათვლით, წინამდებარე **ხელშეკრულების** მიხედვით.

1.10. „**გადასახდელი თანხა**“ იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** ყიდულობს ფასიან ქაღალდებს, **გადასახდელი თანხა** ნიშნავს გარიგების მთლიან ღირებულებას დამატებული **კომპანიის** სათანადო გასამრჯელოები, რომელიც **კლიენტმა** უნდა გადაუხადოს **კომპანიას** წინამდებარე **ხელშეკრულების** მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ყიდის ფასიან ქაღალდებს, **გადასახდელი თანხა** ნიშნავს გარიგების მთლიან ღირებულებას გამოკლებული **კომპანიის** სათანადო გასამრჯელოები, რომელიც **კომპანიამ** უნდა გადაუხადოს **კლიენტს** წინამდებარე **ხელშეკრულების** მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება კუპონიან ფასიან ქაღალდებს გადასახდელი თანხა, გარიგების მთლიან ღირებულებაში, მოიცავს დარიცხულ პროცენტებს გამოთვლილს გარიგების დღეს.

1.11. „**გარიგების დადასტურება**“ წარმოადგენს **კლიენტის** დავალებების მიხედვით ოპერაციის განხორციელების საკმარის მტკიცებულებას, და იგი სავალდებულოა ორივე მხარისათვის. **გარიგების დადასტურება** (1) ივსება **კომპანიის** მიერ საკუთარი დისკრეციის ფარგლებში დადგენილი ფორმით და (2) შეიცავს მხარეების მიერ შეთანხმებულ პირობებს, არსებითი პირობების ჩათვლით. **გარიგების დადასტურება** წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებათა გადასვლას ერთი მხარიდან მეორეზე. თუკი **გარიგების დადასტურება** და წინამდებარე **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლი არათავსებადია ერთმანეთის მიმართ, მაშინ **გარიგების დადასტურება** ჩაითვლება უპირატესად.

1.12. „**გარიგების დღე**“ ნიშნავს სამუშაო დღეს, როცა მხარეების მიერ თანხმდება ყველა არსებითი პირობა. გარიგების დღე ფიქსირდება **გარიგების დადასტურებაში**.

1.13. „**გასამრჯელო**“ ნიშნავს საკომისიოებს, რომლებიც: (ა) განსაზღვრულია/მოწოდებულია წინამდებარე **ხელშეკრულების** დანართი 1-ში; ან (ბ) განსაზღვრული და ინდივიდუალურად მიწოდებულია **კლიენტისთვის** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ელექტრონული ფოსტით) ან (გ) ნებისმიერი სხვა საკომისიო, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე **ხელშეკრულებით**. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, გასამრჯელო, რომელიც **კლიენტს**

ინდივიდუალურად მიეწოდება, უპირატესია, თუ **კომპანიის** მიერ **კლიენტისთვის** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

1.14. „**დავალება**“ (მრავლობითში – „**დავალებები**“) ნიშნავს **კლიენტის** ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მხრიდან **კომპანიისათვის** გაცემულ წერილობით (მათ შორის ელექტრონული სახით) მითითებას იმ პირობით, რომ:

i. **კომპანიის** მომსახურების შემთხვევაში, დავალება უნდა მოიცავდეს არსებით პირობებს; და ასევე, ნებისმიერ შესაბამის დამატებით პირობებს, მისი არსებობის შემთხვევაში; და
ii. ნომინალური მფლობელობის მომსახურების (იგულისხმება მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ფლობა ნომინალურ მფლობელობაში და შესაბამისი მომსახურების გაწევა) შემთხვევაში, დავალება მოიცავს შემდეგ საკითხებს: ემიტენტი, ფასიანი ქაღალდების ტიპი, მთლიანი ნომინალური ღირებულება (ნომინალური ღირებულების არარსებობისას რაოდენობა), გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და თარიღი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადასაცემი ან მისაღები ფასიანი ქაღალდების სერია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადასარიცხი ან მისაღები თანხების ოდენობა, შესაბამისი დავალების მოქმედების ხანგრძლივობა და სხვა ნებისმიერი დამატებითი პირობები; და
iii. დავალების მიცემა უნდა განხორციელდეს ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე; და
iv. დავალების მიცემა და შესრულება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და
v. **კომპანიას** არ მოეთხოვება განახორციელოს დავალება, რომელიც აკრძალული, შეზღუდული ან სხვაგვარად ლიმიტირებულია სათანადო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე (ბაზრებზე) მოქმედი კანონმდებლობის და წესების მიხედვით. „კომპანია“ ვალდებულია შეძლებისდაგვარად სწრაფად აცნობოს **კლიენტს** ასეთი აკრძალვების და შეზღუდვების შესახებ და მხარეები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას ასეთ დავალებასთან დაკავშირებით. **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც მიადგება „კლიენტს“ იმ შემთხვევაში თუ **კომპანია** ვერ ასრულებს დავალებას კანონით და წესებით დადგენილი შეზღუდვების გამო ან ბაზრის კონიუნქტურიდან გამომდინარე.

1.15. „**დაფინანსების ხარჯი**“ არის ხარჯი **კომპანიის** იმ ფინანსურ სახსრებზე, რომელიც შესაძლოა **კომპანიამ** გამოიყენოს კლიენტის **დავალებების** შესაბამისად განხორციელებული ოპერაციების თანხის ან/და ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად. **კომპანიამ** დაფინანსების ხარჯად შესაძლოა დაადგინოს არანაკლებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სესხებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის („საბაზრო საპროცენტო განაკვეთი“) შესაბამისი პროცენტის ოდენობით, ან/და **კომპანიის** ხარჯების შესაბამისად თუ ეს ხარჯები აღემატება საბაზრო საპროცენტო განაკვეთს, თუ სხვაგვარად არ იქნა წერილობით შეთანხმებული მხარეებს შორის. **კომპანიას** უფლება აქვს შეცვალოს დაფინანსების ხარჯის საპროცენტო განაკვეთის დადგენის წესი კანონმდებლობის ან/და საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით იმ პირობით, რომ ასეთი ცვლილება იქნება გონივრული და ამის შესახებ **კლიენტს** მიეწოდება ინფორმაცია განხორციელებამდე ათი (10) სამუშაო დღით ადრე. დაფინანსების ხარჯთან დაკავშირებული განაკვეთი ან/და განაკვეთის დადგენის წესის ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ თუ **კომპანია** არ მიიღებს საწინააღმდეგო სახის შეტყობინებას **კლიენტისაგან** ზემოაღნიშნული ვადის პერიოდში.

1.16. „**ემიტენტი**“ არის ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც არის სათანადოდ ორგანიზებული და ფუნქციონირებს სათანადო იურისდიქციის კანონმდებლობის მიხედვით და, რომელსაც გამოშვებული აქვს ფასიანი ქაღალდები.

1.17. „**ვებ-გვერდი**“ – **კომპანიის** სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ინტერნეტ–გვერდ(ებ)ი, რაც მოიცავს შეუზღუდავად www.gt.ge, www.galtandtaggart.com ან/და მის ყველა ინტერნეტ-გვერდ(ებ)ს.

1.18. „**ინტერნეტ ბანკი**“ ნიშნავს სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869) (შემდგომში - „**საქ. ბანკი**“) მიერ მისი კლიენტებისთვის შეთავაზებული და გაწეულ ინტერნეტ ბანკინგის მომსახურებას (რომელიც, მათ შორის კლიენტებს აძლევს შესაძლებლობას დისტანციურად მოითხოვონ შემდეგი ოპერაციების განხორციელება: ანგარიშის დათვალიერება, მისი საბანკო ბარათების

შესახებ ინფორმაციის ნახვა, მიმდინარე დღის აქტივობების ნახვა, გადახდების/გადარიცხვების განხორციელება, ანგარიშის გახსნა და სხვა) და რომლის ფარგლებში, **კლიენტს** მიენიჭა უფლებამოსილება და წვდომა ისარგებლოს ამ **ხელშეკრულების** 4[1] მუხლით დადგენილი მომსახურებით.

1.19. „**კანონმდებლობა**“ ნიშნავს კანონებს, რომლებიც არეგულირებს **კომპანიის** ან მის მიერ განსაზღვრული შუამავლების, ბროკერ/დილერების, კასტოდიანების ან ნომინალური მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქმიანობებს.

1.20. „**კლიენტი**“ არის ის შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ნებისმიერი სხვა წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს სს „გალტ ენდ თაგარტის“ კლიენტს და ხელს აწერს **განაცხადს**. კლიენტი ნიშნავს **კლიენტს** და არავის სხვას, თუ ეს სხვაგვარად არ არის შეთანხმებული მხარეების მიერ. **კომპანია** უფლებამოსილია ჩათვალოს **კლიენტი** პრინციპალად.

1.21. „**კლიენტის დეშბორდი**“ ნიშნავს ონლაინ სერვისს, რომელსაც **კომპანია** ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სთავაზობს **კლიენტს** შესაბამის ვებ-გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** მეშვეობით.

1.22. „**კლიენტის დეშბორდის ანგარიში**“ ნიშნავს **კომპანიის** მიერ **კლიენტისთვის** დაგენერირებულ და მიწოდებულ კლიენტის დეშბორდის ანგარიშს. თუ **კლიენტის დეშბორდის ანგარიში** დაგენერირებულია და მიწოდებულია **კლიენტისთვის** ამ დეფინიციის ძალაში შესვლამდე, ასეთი ანგარიში ჩაითვლება **კლიენტის დეშბორდის ანგარიშად** ამ **ხელშეკრულების** მიზნებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც წინამდებარე დეფინიცია გახდება მოქმედი. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** დაგენერერირება და **კლიენტისთვის** მიწოდება/ არმიწოდება წარმოადგენს **კომპანიის** პირად, სრულ და ულიმიტო დისკრეციას და **კომპანია** არ არის ვალდებული **კლიენტის** მოთხოვნის მიუხედავად მოახდინოს ასეთი ანგარიშის დაგენერირება და **კლიენტისთვის** მიწოდება.

1.23. „**კლიენტის უფლებამოსილი პირი (პირები)**“ ან „**კომპანიის უფლებამოსილი პირი (პირები)**“ ნიშნავს: 1. ნებისმიერი მხარის ნებისმიერ წარმომადგენელს, თანამშრომელს, მენეჯერს ან შუამავალს, რომელიც ერთი მხარის მეორე მხარისათვის მიწოდებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განისაზღვრა უფლებამოსილ პირად და მოქმედებს პირველი მხარის სახელით ნებისმიერი საქმიანობის, კენჭისყრის ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელების მიზნით; ან 2. ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც აქვს ერთი მხარის მიერ გაცემული მინდობილობა იმგვარი ფორმით, როგორიც მისაღებია მეორე მხარისათვის.

1.24. „**კომპანია**“ არის სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოში (საიდენტიფიკაციო კოდი N211359206) და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის და ლიცენზიის შესაბამისად (საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2014 წლის 10 სექტემბრის N820 განკარგულების საფუძველზე).

1.25. „**მიღებული საბაზრო პრაქტიკა**“ **ხელშეკრულებაში** გათვალიწინებული საჯარიმო დებულებებთან მიმართებით, ნიშნავს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ამჟამად შეადგენს კონკრეტული ოპერაციის მთლიანი ღირებულების ერთი პროცენტის ერთ მეათედს (0.1%) ყოველ გადაცილებულ დღეზე ან ნებისმიერ სხვა საპროცენტო განაკვეთს, რომელიც იქნება გამოყენებული **კომპანიის** მიერ ამ **ხელშეკრულების** შესაბამისად ინიცირებულ ოპერაციებში მესამე პირებთან, დამატებული ოპერაციის მთლიანი ღირებულების ერთი პროცენტის ერთ მეათედი (0.1%) ყოველ გადაცილებულ დღეზე.

1.26. „**მომსახურება**“ ნიშნავს მომსახურების სახეებს, რომლებსაც **კომპანია** უწევს **კლიენტს** წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად.

1.27. „**მომსახურების სახეობათა ტარიფები**“ ნიშნავს მომსახურების და შესაბამისი გადასახდელების

ტარიფების სიას, რომელიც: (ა) მოცემულია/განსაზღვრულია ამ **ხელშეკრულების** დანართ 1-ში; ან (ბ) განსაზღვრულია და მიწოდებულია **კლიენტისთვის** ინდივიდულალურად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მომსახურების სახეობათა ტარიფებს, რომელიც ინდივიდუალურად იქნა განსაზღრული/მიწოდებული **კლიენტისთვის**, ენიჭება უპირატესობა, თუ **კომპანიის** მიერ სხვაგვარად არ იქნა დაზუსტებული **კლიენტისათვის**. მომსახურების სახეობათა ტარიფები წარმოადგენს ამ **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.

1.28. „**მხარე**“ ნიშნავს **კომპანიას** და **კლიენტს** ცალ-ცალკე (ერთობლივად როგორც – „**მხარეები**“).

1.29. „**პირი**“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ამხანაგობას, ბანკს, ერთობლივ საწარმოს, ფირმას, კორპორაციას, კომპანიას, ასოციაციას, ტრასტს ან სხვა იურიდიულ პირს ან სამთავრობო სტრუქტურულ ერთეულს ან ნებისმიერ სააგენტოს, დეპარტამენტს და სხვა.

1.30. „**საინვესტიციო (საბროკერო) ანგარიში**“ ან „**ანგარიში**“ არის შიდა ანგარიში, რომელსაც **კომპანია** ამ **ხელშეკრულების** თანახმად, თანხებთან და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით ხსნის და აწარმოებს **კლიენტისათვის** და რომელიც სრულად შეიცავს ინფორმაციას ემიტენტის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შესახებ, მთლიან ნომინალურ ღირებულებას (ასეთის არარსებობის შემთხვევაში – რაოდენობას), გამოშვების ნომერს და თარიღს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფასიანი ქაღალდების სერიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და თანხების ოდენობას.

1.31. „**სამართლებრივი ბენეფიციარი და ბენეფიციარული საკუთრების პრინციპები**“ გამოიყენება წინამდებარე **ხელშეკრულების** მე-8 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით.

1.32. „**სამართლიანი ღირებულება**“ არის ფასიანი ქაღალდების ღირებულების დადგენის მეთოდი. წინამდებარე **ხელშეკრულების** მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება უნდა ასახავდეს **კომპანიის** მიერ განხორციელებულ კომერციულად გონივრულ შეფასებას და იმ ფასს, რა ფასადაც, ამ ხელშეკრულების თანახმად, **კომპანია** გადაწყვეტს ფასიანი ქაღალდების ყიდვას ან გაყიდვას. ზემოაღნიშნული ფასის დადგენა გაყიდვის ოპერაციის შემთხვევაში ხდება მყიდველის ფასით, ხოლო ყიდვის ოპერაციის შემთხვევაში - გამყიდველის ფასით. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული არცერთი მეთოდი არ არის ხელმისაწვდომი, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება **კომპანიის** გონივრული და არგუმენტირებული შეფასებით.

1.33. „**სამუშაო დღე**“ ნიშნავს დღეს (გარდა შაბათისა და კვირისა), როცა კომერციული ბანკები და საფონდო ბირჟები ღიაა და აწარმოებენ საქმიანობას ნიუ-იორკში (აშშ), ლონდონში, (გაერთიანებული სამეფო), თბილისში (საქართველო) და **ინსტრუქციასთან** დაკავშირებული შესაბამისი საფონდო ბირჟები და კომერციული ბანკები.

1.34. „**ფასიანი ქაღალდები**“ ნიშნავს ნებისმიერ აქციებს, სახაზინო ვალდებულებას, ობლიგაციებს, არაუზრუნველყოფილ სავალო ფასიან ქაღალდებს, ვექსელს, სავალო ხელწერილს, ტრატას, ვალის მტკიცებულებებს, საპროცენტო სერტიფიკატს ან ნებისმიერ მოგების განაწილებასთან დაკავშირებულ შეთანხმებაში მონაწილეობას, უზრუნველყოფილ სატრასტო სერტიფიკატს, გადაცვლად აქციებს, საინვესტიციო კონტრაქტებს, ფასიან ქაღალდზე სადეპოზიტო სერტიფიკატს, ნებისმიერ ფუთ, ქოლ სტრუდელ ოფციონებს ან/და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს ან/და ნებისმიერ პრივილეგიას ფასიან ქაღალდზე, დეპოზიტის სერტიფიკატზე, ფასიანი ქაღალდების ჯგუფზე ან ინდექსებზე ან ნებისმიერ ფუთ, ქოლ, სტრედელ ოფციონებზე ან ეროვნულ საფონდო ბირჟაზე მოქმედ ნებისმიერ პრივილეგიას, რომელიც ეხება უცხოურ ვალუტას და სხვა, როგორც შესაძლოა განსაზღვრული იქნას კანონმდებლობის შესაბამისად, და მოიცავს სერტიფიკატებს, ამონაწერებს შესაბამისი სადეპოზიტარო ინსტიტუტებიდან, რომლებიც ამით ადასტურებენ საკუთრების უფლებას. ფასიანი ქაღალდებია ის, რომელიც გამოშვებული და დარეგისტრირებულია კანონმდებლობის საფუძველზე, და რომლებითაც ხორციელდება ვაჭრობა ორგანიზებული სახით საფონდო ბირჟებზე ადგილობრივი ბროკერების/დილერების ან სხვა საშუალებით.

1.35. „**ფულადი სახსრები**“ ნიშნავს **კლიენტის** ფულს, რომელიც: I. **კლიენტის** მიერ, **ხელშეკრულებით**

გათვალისწინებული დებულებებით, ფასიანი ქაღალდების შესყიდვის მიზნით გადაირიცხება **კომპანიის** ბროკერ-კლიენტის საბანკო ანგარიშზე **კლიენტის** დავალებების შესაბამისად **კომპანიის** მიერ მესამე პირთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე ან/და II. **კომპანიამ** მიიღო მესამე პირისაგან ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ოპერაციის შედეგად, რომელიც განახორციელა **კომპანიამ კლიენტის** დავალებების შესაბამისად. ამგვარი ფორმით **კომპანიის** მიერ გადარიცხული ან/და მიღებული ფულადი სახსრების ანგარიშზე შეტანა და შენახვა ხორციელდება **კომპანიის** მიერ **კომპანიის** საკუთარი აქტივებისგან განცალკევებით. **კომპანია** ვალდებულია აღნიშნული სახსრები მიუთითოს შესაბამის ამონაწერებში. **კლიენტს** შეუძლია გადარიცხოს დამატებითი სახსრები ანგარიშზე, ან მოხსნას თანხები ანგარიშიდან **კომპანიისათვის** წინასწარ მიცემული დავალებების შესაბამისად იმ პირობით, რომ **კლიენტის** დავალების მიხედვით სახსრების ანგარიშიდან მოხსნა არ არღვევს მხარეების მიერ მანამდე აღებულ ვალდებულებებსა და **კომპანიის** მიერ მესამე პირთან განსახორციელებელ ოპერაციებს. **კლიენტი** ვალდებულია გადარიცხოს თანხები ბროკერ-კლიენტის **კომპანიის** სპეციალურ ანგარიშზე ან ანგარიშებზე, **კომპანიის** მიერ დროდადრო **კლიენტისათვის** მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **კომპანიას**, საკუთარი გადაწყვეტილებით, გამოიყენოს აღნიშნული ფულადი სახსრები წინამდებარე **ხელშეკრულების** და **კლიენტის** დავალებების განხორციელების მიზნით.

1.36. „**შეფასების მეთოდი**“ ეფუძნება დახურვის ფასს, ანუ საბოლოო ფასს კონკრეტული დღისთვის იმ რეგულირებად საფონდო ბირჟაზე, სადაც ფასიანი ქაღალდი ივაჭრება. იმ შემთხვევაში თუ დახურვის ფასი არ არსებობს, მხოლოდ სასესხო ფასიან ქაღალდებთან და დეპოზიტებთან მიმართებით, შეფასების მეთოდი განისაზღვრება როგორც შეფასების მეთოდის გამოყენების დღის მდგომარეობით ნომინალურ ღირებულებისა და დარიცხული პროცენტის ჯამი. იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული არცერთი მექანიზმი არ არის ხელმისაწვდომი, შეფასების მეთოდი განისაზღვრება **კომპანიის** გონივრული და არგუმენტირებული შეფასებით.

1.37. „**სავაჭრო ანგარიში**“ ნიშნავს **კლიენტის** მიერ **კომპანიასთან** გახსნილ G&T Trader-ის ანგარიშს სატრეიდერო ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **კლიენტი** ქირაობს **კომპანიას** ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით და თანხმობას აცხადებს გადაუხადოს **კომპანიას** ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გასამრჯელოები. თავის მხრივ, **კომპანია** თანხმობას აცხადებს გაუწიოს **კლიენტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურება.

3. კომპანიის მომსახურება

3.1. **დავალებების** შესაბამისად, **კომპანია** გამოიყენებს მის კომერციულად გონივრულ ძალისხმევას რათა:

i. შეისყიდოს **კლიენტის** მიერ **დავალებებში** აღნიშნული ფასიანი ქაღალდები; ან/და
ii. დაარეგისტრიროს **ხელშეკრულების** მე-8 და მე-9 მუხლების მიხედვით შესყიდული ფასიანი ქაღალდები; ან/და
iii. **მხარეებს** შორის წინასწარი მოლაპარაკებების და **კლიენტის დავალებებიდან** გამომდინარე, გაყიდოს ან სხვა ფორმით გადასცეს ფასიანი ქაღალდები მესამე პირს.

3.2. **კომპანია** ვალდებულია განახორციელოს სათანადო ჩანაწერები ანგარიშზე, რაც ადასტურებს **კომპანიის** მიერ დავალებების შესრულებას, ასევე სხვა ქმედებებს, როგორც ეს გაწერილია **მომსახურების სახეობათა ტარიფებში** ან **მხარეებს** შორის დამატებით ხელშეკრულებებში.

3.3. **კომპანია**, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს დავალებების საფუძველზე დადგენილი ოპერაციისათვის მისაღებ მეორე მხარეს. **კლიენტს** არ გააჩნია უფლება მოთხოვოს **კომპანიას კლიენტის** მიერ შერჩეულ კონკრეტულ პირთან ოპერაციის განხორციელება, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული **მხარეების** მიერ.

3.4. **კომპანია** ოპერაციას აწარმოებს საკუთარი სახელით.

3.5. თუ **კომპანიას** არა აქვს მიღებული წერილობითი დავალებები მოიქცეს საპირისპიროდ, ნებისმიერი ფულადი სახსრები, რომლებიც **კომპანიამ** უნდა მიიღოს მესამე პირისაგან ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების, პროცენტებისა და დივიდენდების ჩათვლით, **კომპანიის** მიერ ჩაირიცხება და შეინახება ანგარიშზე ფასიან ქაღალდებში შემდგომი ინვესტირების მიზნით ამ **ხელშეკრულების** პირობებისა და დავალებების შესაბამისად.

3.6. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კომპანია** იქნება ვალდებული ამ **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად შეასრულოს და იმოქმედოს **დავალების** საფუძველზე, მხოლოდ მას შემდეგ რაც, **კომპანიამ** დაადასტურა კონკრეტული **დავალების** მიღება და **კომპანია** თავის პირად, სრულ და ულიმიტო დისკრეციის ფარგლებში დათანხმდა ამ **დავალების** შესრულებას და მის შესაბამისად მოქმედებას.

4. ნომინალური მფლობელობის მომსახურება

4.1. შესაბამისი დავალებების საფუძველზე, **კომპანია** გაუწევს **კლიენტს** ნომინალური მფლობელობის მომსახურებას, როგორც ეს განსაზღვრულია **მომსახურების სახეობების ტარიფებში**, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.2. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას გადაუხადოს **კომპანიას** გასამრჯელო ნომინალური მფლობელობის მომსახურებისათვის იმ ოდენობით, როგორც ეს განსაზღვრულია **მომსახურების სახეობების ტარიფებში**, ამ ხელშეკრულების მუხლი 6 –ის მიხედვით.

4.3. ნომინალური მფლობელობის მომსახურება განხორციელდება ამ **ხელშეკრულების** მე-5 მუხლის თანახმად.

4^1. ინტერნეტ ბანკის მომსახურება

4^1.1. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ინტერნეტ ბანკი** წარმოადგენს **საქ. ბანკის** მიერ შეთავაზებულ მომსახურებას და პროდუქტს. შედეგად, **კომპანიას** არ გააჩნია უფლებამოსილება და შესაძლებლობა **ინტერნეტ ბანკის** მართვასთან დაკავშირებით და **ინტერნეტ ბანკზე კლიენტისთვის** წვდომის მიწოდებასთან დაკავშირებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კომპანია** არ არის და ვერ იქნება ვალდებული **კლიენტის** მოთხოვნის მიუხედავად უზრუნველყოს **კლიენტისთვის ინტერნეტ ბანკზე** წვდომის მიცემა და აღნიშნული არის **კომპანიის** კონტროლს გარეთ.

4^1.2. ამ **ხელშეკრულების** მე-18 მუხლის შესაბამისად და შეუზღუდავად, იმ შემთხვევაში, თუ ამ **ხელშეკრულების** 4^1.1 მუხლის გათვალისწინებით, **კლიენტს** ჩაერთო წვდომა **ინტერნეტ ბაკნში ანგარიშთან** დაკავშირებით, **კლიენტს** შეუძლია **კომპანიას დავალება** მიაწოდოს **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ყველა მითითების, ანგარიშის, ანგარიშგების, შეტყობინების, **დავალების** ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტაციის/კომუნიკაციის **ინტერნეტ ბანკიდან** მიღებას ან გაგზავნას ყველა სამართლებრივ და არასამართლებრივ ასპექტში აქვს ამ **ხელშეკრულების** შესაბამისად ელ. ფოსტიდან იმავე დოკუმენტაციის/კომუნიკაციის მიღების ან გაგზავნის ტოლფასი ძალა.

4^1.3. **ინტერნეტ ბანკის** მეშვეობით **კლიენტს** შესაძლოა ჰქონდეს წვდომა საკუთარ ინფორმაციასთან, რაც მოიცავს შეუზღუდავად შემდეგს: **კლიენტის** პირად ინფორმაციას, **კლიენტის** აქტივების ჩამონათვალსა და ღირებულებას მიმდინარე დღის წინა სამუშაო დღის დახურვის მდგომარეობით და სხვა ("ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია"). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია** შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც გამომდინარეობს ან/და მიემართება კლიენტის **აქტიურ ანგარიშს** ან/და ნებისმიერ სხვა ანგარიშს, რომელიც **კლიენტს** აქვს გახსნილი **კომპანიასთან**, რაც სხვათა შორის შესაძლოა მოიცავდეს **კლიენტის**

სავაჭრო ანგარიშს.

4[1].4. **კომპანია** ახორციელებს გონივრულ ქმედებებს, რათა მოიპოვოს ინფორმაცია სანდო წყაროებისგან ("წყაროები") (სადაც რელევანტურია), მაგრამ **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია** წარმოდგენილია არსებული პირველსახით, ნებისმიერი სახის (პირდაპირი ან ირიბი, ნაგულისხმევი ან ცალსახად გამოხატული) განცხადების ან გარანტიის გარეშე და **კომპანია** არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ ეს **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია** არ არის სრული, ზუსტი, გამოყენებადი და რელევანტური **კლიენტისთვის**. **კლიენტი** ცალსახად ადასტურებს და თანხმდება, რომ შეცდომები, გამორჩენები ან ხარვეზები **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** მიმართებით არ წარმოადგენს **კომპანიის** წინააღმდეგ რაიმე სარჩელის, მოთხოვნის ან სხვა ქმედების წარდგენის სამართლებრივ თუ სხვაგვარ საფუძველს; და **კლიენტის** პირად პასუხისმგებლობას წარმოადგენს მოახდინოს საკუთარი კვლევა და გადამოწმება **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მისი სისრულე, სიზუსტე, გამოყენებადობა და მისი ნამდვილობა დროის კონკრეტული მომენტისთვის. ამასთან, **კომპანია** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** მიმართ:

- აქტივების საბაზრო ფასის სიზუსტეზე; ან/და
- ნებისმიერ წყდომაზე, უზუსტობაზე, შეცდომაზე, გადავადებაზე ან გამორჩენებზე წარმოდგენილ საბაზრო ფასებში; ან/და
- აქტივების საბაზრო ფასების მიწოდების ნებისმიერ შეწყვეტაზე.

ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია არ ნახლდება **კლიენტისთვის** ნებისმიერი ფორმით მისი ხელმისაწვდომობის შედეგად და შესაძლოა შეცვლილი გარემოებების შედეგად გახდეს არაზუსტი და შეცდომაში შემყვანიც დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შედეგად, რომელიც ინფორმაციის მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება შეადგენდეს წამებს, წუთებს, დღეებს, კვირებს ან თვეებს. **კომპანია** არ იძლევა გარანტიას არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციის** ვადაგასულობასთან ან რელევანტურობასთან დაკავშირებით. თუ **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია** გახდება ვადაგასული, **კომპანიას** არ ექნება ვალდებულება:

- განაახლოს **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია**, ან
- მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე, ან
- განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება.

4[1].5. რისკის აღიარება და დადასტურება – **კლიენტი** აღიარებს და ადასტურებს, რომ:

- **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია** წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და არ წარმოადგენს საინვესტიციო რჩევას ან ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ოფერტს ან ყიდვის ოფერტს ან ასეთი ოფერტების წახალისებას; და
- **ინტერნეტ ბანკის ინფორმაცია** შესაძლოა იყოს არასრული, არაზუსტი, არარელევანტური ან/და **კლიენტისთვის** გამოუყენებადი; და
- **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციაში** შესაძლოა იყოს ხარვეზები ან გამორჩენები; და
- **კლიენტის** პირადი პასუხისმგებლობას წარმოადგენს საკუთარი კვლევის და შემოწმების განხორციელება **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მისი სისრულე, სიზუსტე, გამოყენებადობა და მისი ნამდვილობა დროის კონკრეტული მომენტისთვის; და
- **კომპანიას** არ გააჩნია რაიმე ფორმით სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი კონტროლი **ინტერნეტ ბანკინგთან** ან/და **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** დაკავშირებით.

4[1].6. **კომპანია** არ არის რაიმე ფორმით ვალდებული, **ინტერნეტ ბანკის** ნებისმიერი სახის არავტორიზებულ წვდომაზე მიუხედავად იმისა ეს წვდომა იყო არამართლზომიერი (რაც მოიცავს შეუზღუდავად არამართლზომიერ გამოყენებას ვირუსის ან/და ნებისმიერი სხვა დამაზიანებელი პროგრამული კოდინგის შედეგად) თუ არა. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა მითითებაზე, ინფორმაციაზე, შეტყობინებაზე, ბრძანებაზე, **დავალებაზე** ან/და სხვა

კომუნიკაციაზე და მათ სისწორეზე, რომლებიც გამოგზავნილ იქნა **ინტერნეტ ბანკიდან კლიენტის** სახელის, პაროლის ან სხვა **კლიენტის** პერსონალურად მაიდენტიფიცერებელი საშუალების გამოყენებით. **კლიენტი** ვალდებულია, საიდუმლოდ შეინახოს პაროლი და უზრუნველყოს რომ მესამე პირებს არ ექნებათ წვდომა **კლიენტის** სავაჭრო პლატფორმებთან ან/და ანგარიშებთან. **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიის** მიმართ იმ კონტრაქტებთან მიმართებით, რომლებიც იქნა განხორციელებული **კლიენტის** პაროლის ან/და **ინტერნეტ ბანკის** გამოყენებით იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი გამოყენება იყო არამართლზომიერი.

4^1.7. **ინტერნეტ ბანკის** გამოყენებისას, **კლიენტი** აღიარებს, იაზრებს და ადასტურებს, რომ არსებობს ინტერნეტის გამოყენებით ოპერირებული სისტემის გამოყენებით შესრულებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც მოიცავს თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: მოწყობილობის, პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტის კავშირის წყობიდან გამოსვლა ან/და დაზიანება. ვინაიდან **კომპანიის** კონტროლს არ ექვემდებარება ინტერნეტის კავშირის მიღება, მისი სიძლიერე ან/და სიხშირე, ინტერნეტის გამოყენება, **კლიენტის** აღჭურვილობის კონფიგურაცია ან მისი კავშირის სანდოობა, **კომპანია** არცერთ შემთხვევაში არ იღებს პასუხისმგებლობას და არ იქნება პასუხისმგებელი ინტერნეტით ვაჭრობისას კავშირის წყვეტის, დაზიანების, განადგურების, ხარვეზიანობის, გადავადების შემთხვევებისთვის.

4^1.8. **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის ან ზარალისთვის, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი პირის მიერ **ინტერნეტ ბანკზე** წვდომიდან ან ნებისმიერი წვდომის შეუძლებლობიდან გამომდინარე. აღნიშნული, მათ შორის, შეუზღუდავად მოიცავს ზიანს აღჭურვილობისადმი, საოპერაციო სისტემებისადმი, რომელიც გამოწვეულია ვირუსის ან/და ნებისმიერი სხვა დამაზიანებელი პროგრამული კოდინგის შედეგად. **კომპანიასთან** აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კონსულტაცია არ წარმოადგენს სამოსამსახურეო ან სამომხმარებლო ურთიერთობას მხარეებს შორის და **კომპანიას** არ ექნება და არ დაეკისრება რაიმე ვალდებულება აღნიშნული კონსულტაციიდან გამომდინარე არცერთი პირის მიმართ.

4^1.9. ნებისმიერი საბაზრო ფასი ან/და სხვა ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია/ხელმისაწვდომია **ინტერნეტ ბანკზე** შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ **კლიენტის** საკუთარი ბიზნეს მიზნებისთვის და მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტულ მომსახურებასთან მიმართებით. ნებისმიერი საბაზრო ფასის ან/და სხვა ინფორმაციის ნაწილის ან სრულად არაავტორიზებული კოპირება, გავრცელება, გასაჯაროვება ან გადამისამართება (გადაგზავნა) არის მკაცრად აკრძალული.

4^1.10. განურჩევლად ნებისმიერი საწინააღმდეგო პირობისა თუ მუხლისა, **კლიენტი** ცალსახად აღიარებს, იაზრებს და ადასტურებს, რომ **კომპანიას** არ გააჩნია რაიმე ფორმით სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი კონტროლი **ინტერნეტ ბანკინგთან** ან/და **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** დაკავშირებით და **კომპანია** არ არის აღნიშნულის მმართველი და განმკარგველი პირი. **კომპანია** არანაირი ფორმით არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას და არ იძლევა რაიმე სახით განცხადებას ან/და გარანტიას **ინტერნეტ ბანკინგთან** ან/და **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციასთან** მიმართებით, მათ შორის შეუზღუდავად ინფორმაციის სისრულესთან, სიზუსტესთან, გამოყენებადობასთან, რელევანტურობასთან, სისტემის გამართულობასთან, ფუნქციონირებასთან, არაავტორიზებული და არამართლზომიერი წვდომის აღკვეთასთან და იდენტიფიცირებასთან ან/და **ხელშეკრულების** 4^1 მუხლით მოცულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

4^1.11. ამ **ხელშეკრულების** 4^1.4-4^1.11 (ჩათვლით) მუხლებისა და **ინტერნეტ ბანკის ინფორმაციის** დეფინიციის მოქმედება გრძელდება განურჩევლად ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერი შეწყვეტისა ან ვადის გასვლისა.

4^2. კლიენტის დეშბორდის ონლაინ მომსახურება

4^2.1. **ხელშეკრულების** მე-18 მუხლის შესაბამისად და შეუზღუდავად, **კლიენტს** შეუძლია **კომპანიას დავალება** მიაწოდოს **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** მეშვეობით. ყოველგვარი ეჭვის

გამოსარიცხად, ყველა მითითების, ანგარიშის, ანგარიშგების, შეტყობინების, **დავალების** ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტაციის/კომუნიკაციის **კლიენტის დეშბორდის ანგარიშიდან** მიღებას ან გაგზავნას ყველა სამართლებრივ და არასამართლებრივ ასპექტებში აქვს ამ ხელშეკრულების შესაბამისად ელ-ფოსტიდან იმავე დოკუმენტაციის/კომუნიკაციის მიღების ან გაგზავნის ტოლფასი ძალა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** დაგენერერირება და **კლიენტისთვის** მიწოდება/არმიწოდება წარმოადგენს **კომპანიის** პირად, სრულ და ულიმიტო დისკრეციას. **კლიენტი** ცალსახად და პირდაპირ ადასტურებს და ეთანხმება, რომ **კლიენტის დეშბორდთან** ან/და **კლიენტის დეშბორდის ანგარიშთან** მიმართებით მომსახურება მხოლოდ მაშინ იქნება გაწეული **კომპანიის** მიერ, თუ **კომპანია** თავისი პირადი, სრული და ულიმიტო დისკრეციის ფარგლებში გადაწყვეტს დააგენერიროს და **კლიენტს** მიაწოდოს **კლიენტის დეშბორდის ანგარიში** და **კომპანია** არ არის ვალდებული **კლიენტის** მოთხოვნის მიუხედავად მოახდინოს ასეთი ანგარიშის დაგენერირება და **კლიენტისთვის** მიწოდება.

4^2.2. **კლიენტის დეშბორდის** მეშვეობით **კლიენტს** შესაძლოა ჰქონდეს წვდომა საკუთარ ინფორმაციასთან, რაც მოიცავს შეუზღუდავად შემდეგს: **კლიენტის** პირადი ინფორმაცია, კლიენტის აქტივების ჩამონათვალს, ტრანზაქციების ისტორიას, აქტივების წარმადობის გრაფიკს (Performance Chart), ფასიანი ქაღალდების ფასებს, ანგარიშგებას და ნებისმიერი სხვა ინფორმაციას/დოკუმენტაციას ("დეშბორდის ინფორმაცია"). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **დეშბორდის ინფორმაცია** შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც გამომდინარეობს ან/და მიემართება კლიენტის **აქტიურ ანგარიშს** ან/და ნებისმიერ სხვა ანგარიშს, რომელიც **კლიენტს** აქვს გახსნილი **კომპანიასთან**, რაც, სხვათა შორის, შესაძლოა მოიცავდეს **კლიენტის სავაჭრო ანგარიშს**. **მხარეები** ცალსახად თანხმდებიან, რომ **კომპანია** თავისი პირადი, ულიმიტო და სრული დისკრეციის ფარგლებში, საფუძვლის გარეშე, წინარე ან/და შემდგომი შეტყობინების ან/და **კლიენტის** დასტურის/თანხმობის გარეშე, უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს **დეშბორდის ინფორმაციის კლიენტისთვის** მიწოდება სრულად ან/და ნაწილობრივ.

4^2.3. **კომპანია** ახორციელებს გონივრულ ქმედებებს, რათა მოიპოვოს ინფორმაცია სანდო წყაროებისგან ("წყაროები") (სადაც რელევანტურია), მაგრამ **დეშბორდის ინფორმაცია** წარმოდგენილია არსებული პირველსახით, ყოველგვარი ნებისმიერი სახის (პირდაპირი ან ირიბი, ნაგულისხმევი ან ცალსახად გამოხატული) განცხადების ან გარანტიის გარეშე და **კომპანია** არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი სახის **დეშბორდის ინფორმაციასთან** დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ ეს **დეშბორდის ინფორმაცია** არ არის სრული, ზუსტი, გამოყენებადი და რელევანტური **კლიენტისთვის**. **კლიენტი** ცალსახად ადასტურებს და თანხმდება, რომ შეცდომები, გამორჩენები ან ხარვეზები **დეშბორდის ინფორმაციასთან** მიმართებით არ წარმოადგენს **კომპანიის** წინააღმდეგ რაიმე სარჩელის, მოთხოვნის ან სხვა ქმედების წარდგენის სამართლებრივ თუ სხვაგვარ საფუძველს; და **კლიენტის** პირად პასუხისმგებლობას წარმოადგენს მოახდინოს საკუთარი კვლევა და გადამოწმება **დეშბორდის ინფორმაციასთან** დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მისი სისრულე, სიზუსტე, გამოყენებადობა და მისი ნამდვილობა დროის კონკრეტული მომენტისთვის, ამასთან **კომპანია** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** მიმართ:

- აქტივების საბაზრო ფასის სიზუსტეზე; ან/და
- ნებისმიერ წყდომაზე, უზუსტობაზე, შეცდომაზე, გადავადებაზე ან გამორჩენებზე წარმოდგენილ საბაზრო ფასებში; ან/და
- აქტივების საბაზრო ფასების მიწოდების ნებისმიერ შეწყვეტაზე.

დეშბორდის ინფორმაცია არ ნახლდება **კლიენტისთვის** ნებისმიერი ფორმით მისი ხელმისაწვდომობის შედეგად და შესაძლოა შეცვლილი გარემოებების შედეგად გახდეს არაზუსტი და შეცდომაში შემყვანიც დროის გარკვეული პერიოდის გასვლის შედეგად, რომელიც ინფორმაციის მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება შეადგენდეს წამებს, წუთებს, დღეებს, კვირებს ან თვეებს. **კომპანია** არ იძლევა გარანტიას არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას **დეშბორდის ინფორმაციის** ვადაგასულობასთან ან რელევანტურობასთან დაკავშირებით. თუ **დეშბორდის ინფორმაცია** გახდება ვადაგასული, **კომპანიას** არ ექნება ვალდებულება:

- განაახლოს **დეშბორდის ინფორმაცია**, ან
- მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე, ან
- განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება.

დეშბორდის ინფორმაცია შესაძლოა იყოს მისი კონკრეტული ავტორის (ინფორმაციის მომწოდებლის/პროვაიდერის) პირადი მოსაზრება და არ გამოხატავდეს **კომპანიის** პოზიციას. **კომპანია** იტოვებს უფლებას მისი პირადი დისკრეციის ფარგლებში გამოიხმოს ან განაახლოს ნებისმიერი **დეშბორდის ინფორმაცია** ნებისმიერ დროს ყოველგვარი წინარე ან შემდგომი შეტყობინების გარეშე.

4^2.4. რისკის აღიარება და დადასტურება – **კლიენტი** აღიარებს და ადასტურებს, რომ:

- **დეშბორდის ინფორმაცია** წარმოდგენილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და არ წარმოადგენს საინვესტიციო რჩევას ან ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ოფერტს ან ყიდვის ოფერტს ან ასეთი ოფერტების წახალისებას; და
- **დეშბორდის ინფორმაცია** შესაძლოა იყოს არასრული, არაზუსტი, არარელევანტური ან/და **კლიენტისთვის** გამოუყენებადი; და
- **დეშბორდის ინფორმაციაში** შესაძლოა იყოს ხარვეზები ან გამორჩენები; და
- **კლიენტის** პირად პასუხისმგებლობას წარმოადგენს საკუთარი კვლევის და შემოწმების განხორციელება **დეშბორდის ინფორმაციასთან** დაკავშირებით, რათა უზრუნველყოს მისი სისრულე, სიზუსტე, გამოყენებადობა და მისი ნამდვილობა დროის კონკრეტული მომენტისთვის.

4^2.5. **კომპანია** არ არის რაიმე ფორმით ვალდებული, **კლიენტის დეშბორდის** / **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** ნებისმიერი სახის არავტორიზებულ წვდომაზე მიუხედავად იმისა ეს წვდომა იყო არამართლზომიერი (რაც მოიცავს შეუზღუდავად არამართლზომიერ გამოყენებას ვირუსის ან/და ნებისმიერი სხვა დამაზიანებელი პროგრამული კოდინგის შედეგად) თუ არა. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა მითითებაზე, ინფორმაციაზე, შეტყობინებაზე, ბრძანებაზე, **დავალებაზე** ან/და სხვა კომუნიკაციაზე და მათ სისწორეზე, რომლებიც გამოგზავნილ იქნა **კლიენტის დეშბორდიდან** / **კლიენტის დეშბორდის ანგარიშიდან** **კლიენტის** სახელის, პაროლის ან სხვა **კლიენტის** პერსონალურად მაიდენტიფიცერებელი საშუალების გამოყენებით. **კლიენტი** ვალდებულია, რომ საიდუმლოდ შეინახოს პაროლი და უზრუნველყოს, რომ მესამე პირებს არ ექნებათ წვდომა **კლიენტის** სავაჭრო პლატფორმებთან ან/და ანგარიშებთან. **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიის** მიმართ იმ კონტრაქტებთან მიმართებით, რომლებიც იქნა განხორციელებული **კლიენტის** პაროლის ან/და **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** გამოყენებით იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი გამოყენება იყო არამართლზომიერი.

4^2.6. **კლიენტის დეშბორდის ანგარიშის** ან/და **კლიენტის დეშბორდის** გამოყენებისას, **კლიენტი** აღიარებს, იაზრებს და ადასტურებს, რომ არსებობს ინტერნეტის გამოყენებით ოპერირებული სისტემის გამოყენებით შესრულებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც მოიცავს თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: მოწყობილობის, პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტის კავშირის წყობიდან გამოსვლა ან/და დაზიანება. ვინაიდან **კომპანიის** კონტროლს არ ექვემდებარება ინტერნეტის კავშირის მიღება, მისი სიძლიერე ან/და სიხშირე, ინტერნეტის გამოყენება, **კლიენტის** აღჭურვილობის კონფიგურაცია ან მისი კავშირის სანდოობა, **კომპანია** არცერთ შემთხვევაში არ იღებს პასუხისმგებლობას და არ იქნება პასუხისმგებელი ინტერნეტით ვაჭრობისას კავშირის წყვეტის, დაზიანების, განადგურების, ხარვეზიანობის, გადავადების შემთხვევებისთვის.

4^2.7. **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანისთვის ან ზარალისთვის, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი პირის მიერ **კლიენტის დეშბორდის ანგარიშზე** / **კლიენტის დეშბორდზე** წვდომიდან ან ნებისმიერი წვდომის შეუძლებლობიდან გამომდინარე. აღნიშნული, მათ შორის, შეუზღუდავად მოიცავს ზიანს აღჭურვილობისადმი, საოპერაციო სისტემებისადმი, რომელიც გამოწვეულია ვირუსის ან/და ნებისმიერი სხვა დამაზიანებელი პროგრამული კოდინგის

შედეგად. **კომპანიასთან** აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კონსულტაცია არ წარმოადგენს სამოსამსახურეო ან სამომხმარებლო ურთიერთობას მხარეებს შორის და **კომპანიას** არ ექნება და არ დაეკისრება რაიმე ვალდებულება აღნიშნული კონსულტაციიდან გამომდინარე არცერთი პირის მიმართ.

4^2.8. ნებისმიერი საბაზრო ფასი ან/და სხვა ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია/ხელმისაწვდომია **კლიენტის დეშბორდის ანგარიშზე** / **კლიენტის დეშბორდზე** შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ **კლიენტის** საკუთარი ბიზნეს მიზნებისთვის და მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონკრეტულ მომსახურებასთან მიმართებით. ნებისმიერი საბაზრო ფასის ან/და სხვა ინფორმაციის ნაწილის ან სრულად არაავტორიზებული კოპირება, გავრცელება, გასაჯაროვება ან გადამისამართება (გადაგზავნა) არის მკაცრად აკრძალული.

4^2.9. ამ **ხელშეკრულების** 4^2.3-4^2.9 (ჩათვლით) მუხლების და **დეშბორდის ინფორმაციის** დეფინიციის მოქმედება გრძელდება განურჩევლად ამ ხელშეკრულების ნებისმიერი შეწყვეტისა ან ვადის გასვლისა.

5. ანგარიშსწორების პროცედურები

5.1. **კომპანია**, არაუგვიანეს გარიგების დღის მომდევნო სამუშაო დღისა, ამზადებს და აწვდის **კლიენტს** ან დაავალებს მის მიერ დანიშნულ პირს მოამზადოს და მიაწოდოს **კლიენტს** სათანადო გარიგების დადასტურება ამ ხელშეკრულების 18.1 მუხლის შესაბამისად. **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს **კომპანიას** გარიგების დადასტურებებში ნებისმიერი შეცდომის ან განსხვავების შესახებ **კომპანიისაგან** გარიგების დადასტურებების მიღებიდან სამი (3) სამუშაო დღის ვადაში. ასეთი შეტყობინების არმიღების შემთხვევაში, **მხარეების** მიერ გარიგების დადასტურება ჩაითვლება სწორად. თუ **კომპანია** არ მიიღებს შეტყობინებას **კლიენტისაგან** შეცდომის ან განსხვავების შესახებ, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ, **კლიენტი** კარგავს გარიგების დადასტურებაში შეცდომის შესახებ შემდგომში განცხადების უფლებას.

5.2. ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დროს, **კლიენტი** გადარიცხავს ან სხვა სახით უზრუნველყოფს გადასახდელი თანხის **კომპანიის** საბანკო ანგარიშზე დასმას წინასწარ ფასიანი ქაღალდის შესყიდვამდე. ალტერნატივის სახით, **კლიენტი** აძლევს **კომპანიას** მითითებას ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის შესახებ იმ პირობით, რომ ანგარიშზე არის საკმარისი რაოდენობის თანხა. **კომპანიას**, ასევე, მიეწოდება ანგარიშიდან ჩამოწერის შესახებ სათანადო დავალებები. ასეთი დავალებების არარსებობის შემთხვევაში, **კომპანიას** აქვს ანგარიშიდან ჩამოწერის უფლება და ეს ჩაითვლება, როგორც **კლიენტის** მხრიდან შესაბამისი დავალების შესრულება.

5.3. **ხელშეკრულების** თანახმად, **კლიენტის** მიერ ასეთი ფორმით შესყიდული ფასიანი ქაღალდები დარეგისტრირდება **კომპანიის** მიერ და გადაირიცხება ანგარიშზე გარიგების დადასტურებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს. აქვე, შეთანხმებულია და **კლიენტი** აღიარებს, რომ **კომპანიას** უფლება აქვს დააყოვნოს ვალდებულებების შესრულება, თუ ვერ ხერხდება კრედიტის გაცემის ორგანიზება ან წინასწარი გადახდა მხარეების მიერ, ან **კომპანიის** მიერ წარმოებული მოლაპარაკებების გამო მესამე პირთან, როგორიც შესაძლოა იქნას ბროკერი/დილერი, სადეპოზიტარო ინსტიტუტები, კლირინგის სისტემა ან კასტოდიანი.

5.4. ფასიანი ქაღალდების **კლიენტის** დავალებების შესაბამისად გაყიდვისას, **კომპანია** ანგარიშსწორების დღეს გადარიცხავს ან უზრუნველყოფს გადასახდელი თანხის ანგარიშზე გადარიცხვას, როგორც ეს განსაზღვრულია გარიგების დადასტურებაში ან **კომპანიის** მიერ გადასახდელი თანხის მიღების დღიდან არა უმეტეს სამი (3) სამუშაო დღისა მესამე პირისაგან, ბროკერი/დილერისაგან, სადეპოზიტარო ინსტიტუტისაგან, კლირინგ სისტემისა ან **კომპანიის** კასტოდიანისაგან იმ პირობით, რომ ანგარიშზე არის საკმარისი ფასიანი ქაღალდები ან გატარებულია სათანადო ღონისძიებები კრედიტის ასაღებად ან წინასწარი გადახდა გაკეთებულია მხარეების მიერ. **კლიენტი** ვალდებულია მისცეს დავალება **კომპანიას** შეიტანოს ანგარიშზე **კლიენტის** კუთვნილი ფულადი სახსრები, და ჩამოწეროს ანგარიშიდან მესამე პირის

კუთვნილი ფასიანი ქაღალდები. ანგარიშზე თანხების შეტანის და ანგარიშიდან მათი ჩამოწერის შესახებ სათანადო დავალებები მოცემული უნდა იქნას გარიგების დადასტურებაში. ასეთი დავალებების არარსებობის შემთხვევაში, **კომპანიას** უფლება აქვს, განახორციელოს ანგარიშზე ჩარიცხვა ან ჩამოწერა და ეს ჩაითვლება, როგორც **კომპანიის** მიერ **კლიენტის** შესაბამისი დავალებების შესრულება.

5.5. **ხელშეკრულების** პირობებით გათვალისწინებული **მხარეების** მიერ განსახორციელებელი ყველა გადახდა მოხდება ამ **ხელშეკრულების** მე-6 მუხლის თანახმად, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული **მხარეების** მიერ.

5.6. მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია, ნომინალური მფლობელობის და სხვა მომსახურების ჩათვლით, როგორც ეს განსაზღვრულია მომსახურების სახეობათა **ტარიფებში**, განხორციელდება **მხარეების** მიერ შეთანხმებულ ვადებში იმ პირობით, რომ **კლიენტი** მომსახურებისათვის საჭირო დავალებებსა და დოკუმენტებს დროულად მიაწვდის **კომპანიას.** თუ **მხარეების** მიერ არ არის დადგენილი ვადები, **კომპანია** ახორციელებს მომსახურებას შეძლებისდაგვარად სწრაფად. ნებისმიერ შემთხვევაში **კლიენტი** თანხმდება **კომპანიის** მიერ მომსახურების განხორციელებას, მესამე პირთან არსებული შეთანხმებების თანახმად, რომელიც მოქმედებს, როგორც სადეპოზიტარო ინსტიტუტი, საკლირინგო სისტემა ან **კომპანიის** კასტოდიანი.

5.7. **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი დავალებების შესრულებასა ან გარიგების დადასტურების აღსრულებაზე, თუ **კლიენტი** არ უზრუნველყოფს საჭირო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების არსებობას ანგარიშზე. ამიტომ, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **მხარეებს** შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, **კომპანიას** შეუძლია **კლიენტის** უზრუნველყოფა ფულადი სახსრებით ან ფასიანი ქაღალდებით კრედიტში იმ პირობით, თუ ასეთი ურთიერთობის შესახებ გაფორმდება წერილობითი შეთანხმება **მხარეებს** შორის. ამ **ხელშეკრულების** სხვა დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, თუ **კომპანია** თანახმაა უზრუნველყოს **კლიენტი** ფულადი სახსრებით ან ფასიანი ქაღალდებით კრედიტში, **კლიენტი** დამატებით გადაუხდის **კომპანიას** დაფინანსების ხარჯს, რომელიც განსაზღვრულია სახსრების ან ფასიანი ქაღალდების რაოდენობაზე, როგორც ეს განსაზღვრულია **ხელშეკრულების** პირველ მუხლში და რომელიც გამოითვლება ფაქტიურ/365 დღიან ბაზაზე.

5.8. **კლიენტს** არ გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი ყიდვა ან გაყიდვა **პირთან**, მანამ სანამ **კომპანია** წარმოადგენს მხარეს აღნიშნული გარიგებისა.

6. გასამრჯელოს გადახდა

6.1. **კლიენტი** თანახმაა გადაუხადოს **კომპანიას** მომსახურების გასამრჯელო, როგორც ეს დადგენილია **მომსახურების სახეობათა ტარიფებით**. **კლიენტი** ადასტურებს და ეთანხმება, რომ იგი გაეცნო შესაბამის **მომსახურების სახეობათა ტარიფებს**.

6.2. **ხელშეკრულების** 6.1 მუხლის დარღვევის გარეშე, **კლიენტი** ვალდებულია გადაუხადოს **კომპანიას** გასამრჯელო და აანაზღაუროს **კომპანიის** მიერ გონივრულ ფარგლებში გაწეული ხარჯები მათი არსებობის შემთხვევაში, როგორც ეს განსაზღვრულია **ხელშეკრულების** 6.3. მუხლით.

6.3. **კომპანიის** კუთვნილი გასამრჯელოს და ასანაზღაურებელ ხარჯებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, **კლიენტი** ფარავს გარიგების განხორცილებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, **კომპანიას** უფლება აქვს გადაუხდელი გასამრჯელო **კლიენტს** ჩაუთვალოს **კომპანიის** მიერ გაწეულ ხარჯად და მისი ხარჯთაღრიცხვა **კლიენტს** წარუდგინოს **დაფინანსების ხარჯების** (მუხლი 1) პირობების თანახმად. კლიენტებს, რომლებიც წარმოადგენენ რეზიდენტ იურიდიულ პირებს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, **კომპანია** წარუდგენს ინვოისს. აღნიშნულის გარდა, **კომპანიას** შეუძლია ჩამოწეროს **კლიენტის** ანგარიშიდან მისი კუთვნილი გასამრჯელო და ხარჯების ანაზღაურების თანხები იმ შემთხვევაში, თუ: (1) **კლიენტს** ანგარიშზე აქვს შესაბამისი თავისუფალი (არა მიზნობრივი) თანხები და კლიენტისათვის **კომპანიისაგან** ცნობილია გასამრჯელოსა და ხარჯების ოდენობა, ან

(2) **კლიენტი** ვერ ახერხებს გადაუხადოს **კომპანიას** გასამრჯელო და აუნაზღაუროს გონივრულ ფარგლებში გაწეული ხარჯები დროულად, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ წარმოდგენილ მუხლში. ანგარიშზე საკმარისი თანხების არარსებობის შემთხვევაში, **კომპანიას** უფლება აქვს გაყიდოს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მიიღოს გასამრჯელოს და გაწეული ხარჯების დასაფარი საკმარისი თანხა.

6.4. **კომპანიის** გასამრჯელოები, როგორც ეს განსაზღვრულია **მომსახურების სახეობათა ტარიფებში**, მოცემულია დღგ-ს და სხვა სათანადო გადასახადების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) გარეშე, რაც შესაძლოა დაერიცხოს **კომპანიისათვის** განკუთვნილ გასამრჯელოებს. ასეთი გადასახადების ოდენობა, მათი გამოყენების შემთხვევაში, **კომპანიის** მიერ შეიტანება ხარჯთაღრიცხვაში, რათა მოხდეს **კომპანიის** კუთვნილი გასამრჯელოსა და გაწეული ხარჯების დასაფარავი თანხის ანაზღაურება ამ **ხელშეკრულების** 6.3 მუხლის თანახმად.

6.5. წინამდებარე **ხელშეკრულების** 6.1 და 6.2 მუხლების შეუზღუდავად და 9.1 მუხლის გათვალისწინებით, **კომპანიის** ნომინალურ ანგარიშებზე და/ან **ფულად სახსრებზე** დარიცხული პროცენტი/საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მისი ოდენობა განისაზღვრება **კომპანიის** მიერ დისკრეციულად მისი შეხედულებისამებრ და აღნიშნული პროცენტი/საკომისიო სრულად ეკუთვნის და პირდაპირ აისახება **კომპანიის** ანგარიშზე და სრულად განიხილება **კომპანიისთვის** გადასახდელი **გასამრჯელოს** ნაწილად, ამ **ხელშეკრულების** შესაბამისად **კომპანიისთვის** გადასახდელი სხვა **გასამრჯელოსთან** ერთად.

7. მხარეების პასუხისმგებლობის შეზღუდვა

7.1. **კლიენტის** მხრიდან **ხელშეკრულებით** ან გარიგების დადასტურების დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიას** გადაუხადოს პროცენტი მიღებული საბაზრო პრაქტიკიდან გამომდინარე, **კომპანიის** მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში. **კლიენტი** ვალდებულია განახორციელოს გადახდა **კომპანიისაგან** აღნიშნული გადახდის შესახებ წერილობითი/ელექტრონული შეტყობინების მიღებიდან სამი (3) სამუშაო დღის ვადაში. ასეთი შეტყობინება წარმოადგენს გადახდის ვალდებულების წარმოქმნის ერთადერთ საფუძველს. პროცენტის გადახდა არ ათავისუფლებს **კლიენტს** მისი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.2. **კლიენტი**, მოთხოვნისამებრ და კანონიერების სრული დაცვით, გაათავისუფლებს და დაიცავს ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან ან აუნაზღაურებს **კომპანიას**, მის დირექტორებს, ოფიცრებს, აგენტებს და თანამშრომლებს (შემდგომში ყოველი ასეთი ორგანიზაცია ან პირი მოიხსენება როგორც „ანაზღაურების მიმღები პირი“) ნებისმიერ და ყველა ზარალს, გადახდის მოთხოვნას, სამოქალაქოსამართლებრივ/საჯაროსამართლებრივ (სახელმწიფო, მარეგურილებლის)/ სისხლისსამართლებრივ ჯარიმას/გადასახადს, ხარჯს, ზიანს ან ვალდებულებას (მათ შორის იურიდიულ ხარჯებს, გამოძიების და ნებისმიერი დოკუმენტის მომზადების ხარჯებს და პროფესიული სერვისების საფასურს), რაც **ანაზღაურების მიმღებ პირს** წარმოეშვა მათი ან რომელიმე მათგანის წინააღმდეგ მესამე მხარის პრეტენზიის შედეგად, რომელიც უკავშირდება **მომსახურებას** ან/და ამ **ხელშეკრულებას**, მათ შორის ამ საქმიანობასთან მიმართებით **კომპანიის** ან/და **ანაზღაურების მიმღები პირის** მიერ რაიმე ფორმით გაცემულ, მიწოდებულ ან მომზადებულ ინფორმაციას ან რჩევას.

7.3. **კლიენტი** თანახმაა, რომ **კომპანიის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ მორიგდება, შეთანხმებას მიაღწევს ან დათანხმდება ან/და არ შესთავაზებს მორიგებას, შეთანხმებას ან თანხმობას რაიმე გადაწყვეტილებაზე რომელიმე მიმდინარე ან სავარაუდო სარჩელზე, სასამართლო პროცესზე ან სამართალწარმოებაზე, რომელიც ეხება **კომპანიის** ამ **ხელშეკრულებაში** განსაზღვრულ საქმიანობას, თუ ასეთი მორიგება, შეთანხმება ან თანხმობა არ მოიცავს **კომპანიის** და სხვა **ანაზღაურების მიმღები პირების** უპირობო გათავისუფლებას ყველა ვალდებულებისგან, რომლებიც გამომდინარეობს ასეთი სარჩელიდან, სასამართლო პროცესიდან ან სამართალწარმოებიდან და არ მოიცავს რომელიმე **ანაზღაურების მიმღები პირის** მიერ ან მისი სახელით განცხადებას, ან აღიარებას, რომ დაუშვა შეცდომა, ჩაიდინა დანაშაული ან ვერ განახორციელა ქმედება.

7.4. ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე შეთანხმებით გაცხადებულია, რომ **კომპანია** და სხვა **ანაზღაურების მიმღები პირები** არ იღებენ რაიმე ვალდებულებას, მოვალეობას ან პასუხისმგებლობას კონტრაქტით, დელიქტით ან სხვაგვარად, მათ შორის **მომსახურებასთან** ან/და ამ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული რაიმე ქმედების აღსრულებასა თუ შესრულებასთან დაკავშირებით, გარდა მოვალეობისა, გამოიჩინონ სათანადო ყურადღება და უნარები და, განურჩევლად სხვა პირობებისა, არც ერთ შემთხვევაში **კომპანია** და სხვა **ანაზღაურების მიმღები პირები** არ იქნებიან კონტრაქტით, დელიქტით ან სხვაგვარად პასუხისმგებელი **კლიენტის** რაიმე მოგებასთან, (მათ შორის მიუღებელი, პირდაპირ ან/და არაპირდაპირ) შემოსავალთან, ბიზნესთან, მოსალოდნელი დანაზოგებთან პირდაპირ ან/და არაპირდაპირ დაკავშირებულ ზიანზე ან/და ზარალზე ან/და ნებისმიერ და ყველა პირდაპირ, ირიბ ან წარმოებულ ზიანზე ან/და ზარალზე, გარდა იმ შემთხვევისა და იმ ოდენობით, რა ნაწილში სასამართლო თავის საბოლოო გადაწყვეტილებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაადგენს, რომ ასეთი ზარალი უშუალოდ გამომდინარეობს **კომპანიისა** და სხვა **ანაზღაურების მიმღები პირების** ცალსახა და პირდაპირი უხეში გაუფრთხილებლობის, თაღლითობის ან გაზრახ არასწორი ქმედებიდან.

7.5. განურჩევლად ნებისმიერი საწინააღმდეგო ჩანაწერისა და **კომპანიის** პასუხისმგებლობის შეზღუდვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების შეუზღუდავად, **კომპანია** ვალდებულია განახორციელოს **კლიენტისათვის** მიყენებული ნებისმიერი ზარალის და ზიანის კომპენსაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი გამოწვეულია მოვალეობის განზრახ, ან უხეში დაუდევრობით შეუსრულებლობით უგულვებელყოფით, უპატიოსნო ქმედებით ან არამართებული საქციელით. **კომპანია** არანაირ შემთხევაში არ აგებს პასუხს (1) ემიტენტის მიერ ჩადენილ ნებისმიერ ქმედებაზე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებებზე; (2) საბანკო ან სადეპოზიტარო ინსტიტუტების, კასტოდიური ან კლირინგის სისტემების მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც გამოიხატება ფასიან ქაღალდებში ინვესტირებისათვის განკუთვნილი ან მათი გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ჩარიცხვის ან გადარიცხვის არშესრულებაში. **კომპანია** მიმართავს გონივრულ ზომებს **კლიენტისთვის** მიყენებული ზიანის აღმოფხვრის, ან მისი მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ამასთან **კომპანია** არ არის ვალდებული გასწიოს რაიმე ხარჯები **კლიენტს** არა აქვს უფლება პასუხისმგებლობა დააკისროს **კომპანიას** ნებისმიერ ამგვარად მიყენებულ არაპირდაპირ ზარალზე, მოგების დაკარგვის ჩათვლით.

7.6. წინამდებარე პასუხისმგებლობის შეზღუდვისა და ზიანის ანაზღაურების ჩანაწერები არ ზღუდავს და არ ემატება **კომპანიისთვის**, ზოგადად, კანონმდებლობით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომ ან არსებულ პასუხისმგებლობის შეზღუდვის და ზიანის ანაზღაურების ჩანაწერებს.

7.7. არაფერი ამ **ხელშეკრულებაში** არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ **კომპანია** და სხვა **ანაზღაურების მიმღები პირები** განისაზღვრონ **კლიენტის** რწმუნებულად.

7.8. **კლიენტის** კუთვნილი ნებისმიერი სახსრები და ფასიანი ქაღალდები, ან ისინი, რომელშიც **კლიენტს** აქვს დაინტერესება და რომლებიც ინახება **კომპანიის**, ქვემდებარე კომპანიის, ნომინალური მფლობელის ან კასტოდიანის მიერ იმისდა მიხედვით, თუ როგორ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, ექვემდებარება გასესხებასა და დაგირავებას, რათა მოხდეს **კლიენტის** ვალდებულებების დაფარვა **კომპანიის** მიმართ და **კომპანია**, ამ შემთხვევაში, უფლებამოსილია გაყიდოს ან/და შეისყიდოს ამ სახსრების და ფასიანი ქაღალდების მთლიანი ოდენობა ან ნაწილი რის შესახებაც წინასწარ აცნობოს **კლიენტს**, რათა მოხდეს დაყადაღებისა და გირავნობის პროცენტის დაკმაყოფილება. **კლიენტი** უპირობოდ ნიშნავს **კომპანიას** თავის ნდობით აღჭურვილ პირად, რომელიც უფლებამოსილია გააფორმოს, ხელი მოაწეროს, შექმნას ან/და აღასრულოს ყველა დოკუმენტი აღნიშნული ყადაღის ან გირავნობის რეგისტრაციისა და სხვა ფორმალობებთან დკავშირებით და მიმართებით.

7.9. ამ მე-7 მუხლის მოქმედება გრძელდება განურჩევლად, ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერი შეწყვეტისა ან ვადის გასვლისა.

8. სამართლებრივი ბენეფიციარი და ბენეფიციარული საკუთრების პრიციპები

8.1. **კლიენტი**, როგორც ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი მესაკუთრე, თანახმაა რომ ფასიანი ქაღალდები დარეგისტრირდეს შესაბამის სადეპოზიტარო ინსტიტუტსა თუ კასტოდიანში, რომელსაც შეარჩევს და მართებულად ჩათვლის **კომპანია**, მისი, როგორც პრინციპალის სახელზე. **კლიენტი** თანხმობას აცხადებს, რომ **კომპანიამ** თავისი გადაწყვეტილებით დანიშნოს მესამე პირი, რომელიც იმოქმედებს როგორც **კომპანიის** დეპოზიტარი ან წარმომადგენელი შესაბამისი სადეპოზიტარო ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, რომელიც ფორმდება **კომპანიასა** და შესაბამის დეპოზიტართან ან კასტოდიანთან.

8.2. ფასიან ქაღალდებზე გადახდილი ყველა დივიდენდი და კუპონური პროცენტი, ასევე, ნებისმიერი ფულადი სახსრები განაწილებული, როგორც დივიდენდები ან პროცენტები შეიტანება კლიენტის ანგარიშზე **კომპანიის** მიერ მათი მიღებისთანავე. აღნიშნული დივიდენდები და პროცენტები შესაძლოა გამოყენებული იქნას **კომპანიის** მიერ **კლიენტის** დავალებებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის. **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი ემიტენტის მიერ გამოცხადებულ დივიდენდებზე ან მათ ნაწილზე, რომელსაც **კომპანია** არ მიიღებს სათანადო გადასახადების დაქვითვის შედეგად ან სხვა მიზეზით, რაც არ ექვემდებარება **კომპანიის** კონტროლს.

8.3. იმ კომპანიის აქციონერთა/ობლიგაციონერთა (ან/და სხვა სახის "ფასიანი ქაღალდების" მფლობელთა) კრების (შემდგომში "კრება") ჩატარების შემთხვევაში, რომლის **ფასიან ქაღალდებსაც** **კლიენტი** ფლობს **კომპანიის** ნომინალური მფლობელობის მეშვეობით, **კომპანია** აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების შედეგად გონივრულ ვადაში მიაწვდის აღნიშნულის თაობაზე შეტყობინებას **კლიენტს** ამ **ხელშეკრულებაში** მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნულ შეტყობინებასთან მიმართებით, **კლიენტი** ვალდებულია ამ **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **კომპანიის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, ან (1) წარმოადგინოს თავისი პოზიცია შეტყობინებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისადაც **კომპანია** **კრებაზე** დააფიქსირებს პოზიციას ან (2) გამოთქვას სურვილი მიიღოს მონაწილეობა **კრებაში**, რასაც **კომპანია** უზრუნველყოფს თუ აღნიშნული არის გონივრულად შესაძლებელი არსებული კანონმდებლობის, ხელშეკრულებებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კომპანია** რაიმე ფორმით არ იღებს ვალდებულებას/პასუხისმგებლობას უზრუნველყოს **კლიენტის** დასწრება/მონაწილეობა **კრებაში**. **კომპანია** უფლებამოსილია და **კლიენტი** თანახმაა **კომპანიას** მიანიჭოს ასეთი უფლებამოსილება/მინდობილობა, თავად, თავისი შეხედულებით, მიიღოს მონაწილეობა **კრებაში** და ამ **კრებაზე** გამართულ კენჭისყრაში, თუ:

- **კლიენტმა** შეტყობინებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით თავისი პოზიცია არ მიაწოდა **კომპანიას** ამ **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად ან/და **კომპანიის** მიერ დადგენილ ვადაში; და
- **კლიენტმა** **კრებაში** მონაწილეობის სურვილი არ მიაწოდა **კომპანიას** ამ **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად ან/და **კომპანიის** მიერ დადგენილ ვადაში ან **კლიენტის** მონაწილეობა **კრებაში** არ არის შესაძლებელი **ხელშეკრულების** ამ 8.3 მუხლში ხსენებული მიზეზ(ებ)ით.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **კომპანია** არ არის ვალდებული აწარმოოს რაიმე სახის მონიტორინგი, კონტროლი ან სხვა სახის ღონისძიება, **კრების** ინიცირებასთან, ჩატარებასთან, თარიღთან ან სხვა საკითხებთან მიმართებით. **კომპანია** ამ მუხლის პირობების შესაბამისად, **კლიენტს** მიაწვდის **კრებასთან** დაკავშირებით შეტყობინებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კრების** ჩატარების შესახებ **კომპანიის** ინფორმირება მოახდინა შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა (მაგ. ემიტენტმა, კასტოდიანმა, ნომინალურმა მფლობელმა და სხვა).

8.4. **ხელშეკრულების** 8.3 მუხლისთვის ზიანის მიყენების გარეშე, **კომპანია** უფლებამოსილია თავად მიიღოს მონაწილეობა **კრებაში** და **კრებაზე** გამართულ კენჭისყრაში ან დანიშნოს კასტოდიანი ან ნომინალური მფლობელი, მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, **კრებასა** და **კრებაზე**

გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიზნით.

8.5. **კლიენტი** თანახმაა მიანიჭოს კომპანიას უფლებამოსილება, რომ მან დააჯგუფოს **კლიენტის** ფასიანი ქაღალდები **კომპანიის** სხვა **კლიენტების** ფასიან ქაღალდებთან. გარდა ამისა, **კლიენტი** ადასტურებს, რომ იგი არ მოითხოვს **კომპანიისაგან** იგივე აქტივების გადაცემას, მაგრამ **კომპანიას** მოეთხოვება შეასრულოს თავისი მოვალეობანი **კლიენტის** მიმართ მისთვის მსგავსი სახისა და ოდენობის აქტივების მიწოდებით.

9. შუამავლების, კასტოდიანების, ნომინალური მფლობელების და ბროკერ/დილერების დანიშვნა

კომპანია უფლებამოსილია დანიშნოს შუამავლები, კასტოდიანები, ბროკერ/დილერები, ფინანსური ინსტიტუტები და ნომინალური მფლობელები და განსაზღვროს მათთან ურთიერთობის პირობები, თუკი ის ერთპიროვნულად გადაწყვეტს, რომ ეს საჭიროა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისათვის, შენახვისათვის ან/და **ფულადი სახსრების** შენახვისთვის და მათი დარეგისტრირებისათვის ამ ხელშეკრულების მუხლი 8-ის მიხედვით. **კომპანია** უფლებამოსილია ამგვარად დანიშნულ მესამე პირზე მოახდინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მის მიერ განსახორციელებელი ნებისმიერი ფუნქციების დელეგირება ფასიანი ქაღალდების რეგისტრაციის და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღების ჩათვლით.

10. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

10.1. **კლიენტი** ადასტურებს, რომ ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციები დაკავშირებულია გარკვეულ ვარაუდებთან და მაღალ რისკებთან, რომლებიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური რისკებით, მაღალი განაკვეთებით დაბეგვრით, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციით, ვალუტის დევალვაციის შესაძლებლობით, ვალუტის კურსის მერყეობით, გარკვეული პოლიტიკით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ინვესტიციაზე ამონაგების მიღების შეზღუდვა, როგორიცაა ინვესტიცია ისეთ ბიზნესში, რომელიც შესაძლოა ეხება ნაციონალურ ინტერესებს და ასეთი სახის ამონაგების რეპატრიაციას. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ იგი აცნობიერებს და მსგავს რისკ ფაქტორებს, ზემო განსაზღვრული ჩამონათვალის ჩათვლით და ადასტურებს თავის ფინანსურ შესაძლებლობას იმ ზარალის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება ფასიანი ქაღალდების და ფულადი სახსრების მიმართ მსგავსი ფაქტორების მოქმედების დროს.

10.2. **კლიენტი**, აგრეთვე, აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

i. მას აქვს და **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში ექნება სრული საშუალება და უფლება დადოს **ხელშეკრულება** და განახორციელოს მასში განსაზღვრული ვალდებულებები; და

ii. თუ **კლიენტი** წარმოადგენს კომპანიას ან სხვა რომელიმე კორპორაციულ ორგანოს, მას გააჩნია **ხელშეკრულების** ხელმოწერასთან, მიწოდებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ბრძანებულებები, რომლებიც მოქმედებს და აგრძელებს მოქმედებას **ხელშეკრულებაში** აღნიშნულ დღეს და მისი მოქმედების პერიოდში ცვლილებების და გაუქმების გარეშე; და

iii. ამ **ხელშეკრულების** დადებით ან/და ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი **დავალების** მიცემით ან/და ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების მიღების შედეგად, ის არ არღვევს რაიმე ფორმით და არ ხდება რაიმე ფორმით დარღვევა რომელიმე იურისდიქციის კანონმდებლობის, რეგულაციის, მოთხოვნის ან/და წესის; და

iv. მის მიერ სრულად დაცულია და მისი ნებისმიერი ქმედება/გადაწყვეტილება სრულ შესაბამისობაშია ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის, რეგულაციის, ან/და წესის ნებისმიერი და ყველა მოთხოვნასთან ამ **ხელშეკრულებასთან** (მათ შორის შეუზღუდავად ამ **ხელშეკრულების** დადებასთან ან/და ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი **დავალებასთან** ან/და ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების მიღებასთან) მიმართებით; და

v. **კლიენტმა** მიიღო ყველა სახის კონსულტაცია (**კომპანიის** გარდა სხვა პირების კონსულტაციების ჩათვლით), რომელიც ჩათვალა საჭიროდ ან მისაღებად, მანამ სანამ ხელს მოაწერდა წინამდებარე ხელშეკრულებას; და

vi. მას გააჩნია საინვესტიციო ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილება საკუთარი ან/და სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ თუ სხვა პირის **კომპანიის** საშუალებით სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს ფინანსურ მომსახურებას პირის ქონებასთან დაკავშირებული დიდი და მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩათვლით, რომელთა ხასიათი და მათთან დაკავშირებული რისკები გააზრებული აქვს; და

vii. ამ **ხელშეკრულების** ყველა პუნქტი, მუხლი და პირობა შეესაბამება მის ნებას და არის სამართლიანი, გონივრული, ობიექტური და რაციონალური.

10.3. **კომპანია** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ იგი შექმნილია და ფუნქციონირებს მისი იურისდიქციის კანონმდებლობის დაცვით, აქვს სამართლებრივი უფლებამოსილება ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნულ **ხელშეკრულებას** და განახორციელოს მასში განსაზღვრული ვალდებულებები. ასევე აცხადებს, რომ მან განახორციელა ყველა საჭირო ქმედება (სათანადო თანხმობების, სამთავრობო მარეგულირებელ ან სხვა ორგანოებში დარეგისტრირების ჩათვლით), დაკავშირებული **ხელშეკრულების** გაფორმებასთან, მიწოდებასა და აღსრულებასთან.

10.4. **კლიენტი** აღიარებს, რომ ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები, რომლებსაც მართავს **კომპანია** წინამდებარე **ხელშეკრულებით** განხილული იქნება, როგორც **კლიენტის** ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები და **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** კლიენტებთან (ასეთების არსებობის შემთხვევაში) მიუხედავად მათი არსებობის ან ფასიან ქაღალდებსა და სახსრებთან დაკავშირებით მათი ინტერესების შესახებ ინფორმაციის ქონა-არქონისა.

10.5. **კლიენტი** აღიარებს, რომ ამ ხელშეკრულებით **კომპანია** არ მოქმედებს, როგორც **კლიენტის** ინვესტიციების მენეჯერი ან საინვესტიციო მრჩეველი, და რომ **კომპანიის** მოვალეობა არის მხოლოდ იმ დავალებების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით. **კომპანიის** მიერ **კლიენტისათვის** ამ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ან სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება ჩაითვლება მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის განხორციელებულ ქმედებად და არა, როგორც შეთავაზების, რეკომენდაციის ან ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის წინადადებად.

10.6. **კომპანია** არ არის ვალდებული გასცეს გარანტია ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის შესახებ და საბაზრო პირობების გამო მან შესაძლოა ვერ განხორციელოს სავაჭრო დავალება. შესაბამისად, **კომპანია** არ არის პასუხისმგებელი დავალების ვერ შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, თუ დადგენილია, რომ ასეთი ვერ შესრულება დადგა **კომპანიის** განზრახ ქმედების გამო.

10.7. ამ **ხელშეკრულების** ფარგლებში **კლიენტის** მიერ გაცემული განცხადებების ან/და გარანტიების ზოგადი ბუნების და გამოყენების შეუზღუდავად, **კლიენტის** ამ მუხლში ან/და ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერ სხვა მუხლში გაცემული თითოეული განცხადება ან/და გარანტია იქნება გამეორებული ყოველ დღეს და **კლიენტის** თითოეულ ინდივიდუალურ ტრანზაქციასთან, **დავალებასთან** ან/და სხვა კომუნიკაციასთან მიმართებით სანამ წინამდებარე **ხელშეკრულება** არის ძალაში.

10.8. ეს მე-10 მუხლი და ამ **ხელშეკრულების** ფარგლებში **კლიენტის** მიერ გაცემული განცხადებები და გარანტიები მოქმედებას აგრძელებს განურჩევლად ამ ხელშეკრულების ნებისმიერი შეწყვეტისა ან ვადის გასვლისა.

11. ანგარიშის ამონაწერი

11.1. **კომპანია** თანახმაა, გადაუგზავნოს **კლიენტს** (კლიენტებს) აქტიური ანგარიშის (ანგარიშების) თვიური ამონაწერები ყოველი თვის დასრულებიდან არა უმეტეს ათი (10) კალენდარული დღის ვადაში. ისინი, ვისაც აქვთ არააქტიური ანგარიში (ანგარიშები) ამონაწერებს მიიღებენ კვარტალში ერთხელ ყოველი კვარტალის დასრულებიდან არა უმეტეს ათი (10) კალენდარული დღის ვადაში და იმ შემთხვევაში თუ **კომპანიას** არ აქვს შეჩერებული ანგარიში 15.5 მუხლის მიხედვით. აღნიშნული ამონაწერები **კლიენტს** მიეწოდება **კომპანიის** მიერ მის ელექტრონული

ფოსტის მისამართზე, როგორც აღნიშნულია **ხელშეკრულების** მუხლში 18.1. ამონაწერი უნდა შეიცავდეს ანგარიშის ბალანსს იმ კალენდარული თვის უკანასკნელი სამუშაო დღის ბოლოსათვის. ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების არსებობის შემთხვევაში, **კომპანია** გამოითვლის მათ ღირებულებას შეფასების მეთოდის მიხედვით.

11.2. **კლიენტს** უფლება აქვს მოსთხოვოს **კომპანიას**, მიაწოდოს დამატებითი ამონაწერები შესაბამისი გასამრჯელოს პირობით, როგორც ეს განსაზღვრულია **მომსახურების სახეობათა ტარიფებში**.

11.3. **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს **კომპანიას** ამონაწერებში ან/და სხვა შეტყობინებებში, გარდა გარიგების დადასტურებებისა, ნებისმიერი შეცდომის ან განსხვავების შესახებ **კომპანიისაგან** ამონაწერის ან/და სხვა შეტყობინების, გარდა გარიგების დადასტურებებისა, მიღებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში. ასეთი შეტყობინების არმიღების შემთხვევაში, მხარეების მიერ ამონაწერი, ან/და სხვა შეტყობინება, გარდა გარიგების დადასტურებებისა, ჩაითვლება სწორად. თუ **კომპანია** არ მიიღებს შეტყობინებას **კლიენტისაგან** შეცდომის ან განსხვავების შესახებ, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთ, **კლიენტი** კარგავს ამონაწერში, ან/და სხვა შეტყობინებაში, გარდა გარიგების დადასტურებებისა, შეცდომის შესახებ შემდგომში განცხადების უფლებას.

12. დაბეგვრა

12.1. **კლიენტი** პასუხისმგებელია სახელმწიფო თუ სხვა სახის შესაბამის ორგანოებში საგადასახადო დოკუმენტაციის, საგადასახადო დეკლარაციის და საგადასახადო ანგარიშების მომზადებასა წარდგენაზე ნებისმიერ სათანადო ორგანოში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოპერაციებთან დაკავშირებით. ასევე, პასუხისმგებელია ყველა გადაუხდელ გადასახდელზე, გადასახადებზე (დღგ-ს ჩათვლით), ბაჟზე, მოსაკრებლებზე და გადასახდელებზე, რომელიც დაერიცხება ძირითად თანხას ან პროცენტებს, ან ნებისმიერ სხვა ვალდებულებაზე ან გადასახდელზე, რომლებიც წარმოიშვება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით (”ვალდებულებები”) იმ პირობით, რომ **კომპანია** და მხოლოდ **კომპანიაა** პასუხისმგებელი გასამრჯელოებზე არსებულ ნებისმიერ გადასახადსა თუ სხვა სახის ვალდებულებაზე.

12.2. თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულია ვალდებულების გადახდა ოპერაციებში მონაწილე მხარეებისათვის გამოქვითვის გზით, **კომპანია** ახორციელებს გადახდას გამოქვითვის გზით **კლიენტის** ხარჯზე იმ პირობით, რომ **კომპანია** გამოიყენებს ყველა მის ხელთ არსებულ საშუალებას აცნობოს **კლიენტს** ამის შესახებ აღნიშნულ გადახდამდე. თუ ამჟამად მოქმედი ან შემდგომ მიღებული კანონმდებლობა ავალდებულებს **კომპანიას** დაფაროს რაიმე ვალდებულება საკუთარი ან **კლიენტის** სახელით, **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს **კომპანიას** ასეთ ვალდებულების თანხა.

12.3. **კომპანიას** შეუძლია აწარმოოს ვალდებულების დაქვითვა, როგორც ამას განსაზღვრავს კანონმდებლობა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გადასახდელების, ჩარიცხული ან დარიცხული თანხების განაწილებასთან ან ანგარიშთან მიმართებით.

12.4. თუ **კლიენტი** არ მიაწვდის **კომპანიას** საქართველოს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერს და რეგისტრაციის სერტიფიკატს, **კომპანია**, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულია დაუკავოს **კლიენტს** გადასახადი კაპიტალურ მოგებაზედა სხვა სათანადო გადასახადები ოპერაციის შესრულებისთანავე.

12.5. ზემოაღნიშნული ვალდებულებები გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაშიც.

13. კონფიდენციალურობა

წინამდებარე **ხელშეკრულებაში** მონაწილე **მხარეების** შესახებ ყველა ინფორმაცია, **ხელშეკრულება** და მისი შინაარსი კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გამჟღავნებას რომელიმე **მხარის** მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარი რეგულაცია არის დაწესებული **განაცხადით** ან/და ამ **ხელშეკრულებით**, ან/და სასამართლოს (მსგავსი ფორუმის), საზედამხედველო ორგანოს ან/და

კანონმდებლობის მოთხოვნით. ზემოაღნიშნული ვალდებულებები გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემთხვევაში.

14. უფლებების და მოვალეობების გადაცემა

კომპანიას უფლება აქვს საკუთარი უფლებები და მოვალეობანი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს თავის **აფილირებულ პირს** და გადაცემული უფლება-მოვალეობების განხორციელება მის მიერ ჩაითვლება სათანადო მხარის მიერ განხორციელებულ ქმედებად. **კლიენტს** უფლება აქვს საკუთარი უფლებები და მოვალეობანი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს თავის **აფილირებულ პირს** ან ნებისმიერ სხვა პირს მხოლოდ **კომპანიის** წინარე წერილობითი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში და შემდგომ. წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა მხარეებისათვის, მათი სამართალმემკვიდრეებისა და იმ პირებისთვის, ვისაც ამ **ხელშეკრულების** შესაბამისად გადაეცა უფლებები/ვალდებულებები. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან რომ მათი უფლება-მოვალეობების გადაცემა ნებისმიერი პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ჩაითვლება დასაშვებ და ჯეროვან გადაცემად ამ **ხელშეკრულების** მიზნებისთვის.

15. ხელშეკრულების პირობები

15.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** შესაძლოა შეწყვიტოს ნებისმიერმა **მხარემ** მეორე **მხარისათვის** ათი (10) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. **ხელშეკრულების** ზემოაღნიშნული სახით შეწყვეტა არ აუქმებს მანამდე დამდგარ ვალდებულებებს, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას ან სახსრების გადარიცხვას, რომლებიც **კომპანიას** დაწყებული ჰქონდა ვადამდელ შეწყვეტამდე და რომლებიც არ დასრულდა შეწყვეტის ვადის დადგომამდე.

15.2. თუ **კლიენტის** ანგარიში არააქტიურია და მასზე არის ნულოვანი **ანგარიშის ნაშთი** ერთი ან მეტი წლის განმავლობაში, **კომპანიას** უფლება აქვს დახუროს **ანგარიში** შეტყობინების გარეშე. **ანგარიშის** დახურვა, ასევე, შესაძლებელია **კლიენტის** მოთხოვნით 15.1. მუხლის გათვალისწინებით.

15.3. ამ **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან ოცი (20) სამუშაო დღის ვადაში, **კომპანია** ვალდებულია გადაურიცხოს **კლიენტს** კუთვნილი თანხები **კლიენტის განაცხადში** მითითებულ ან ამ **ხელშეკრულების** შესაბამისად **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ **კლიენტის** სხვა საბანკო ანგარიშზე და მიაწოდოს **კლიენტს** ბოლო ამონაწერი. თუ **ხელშეკრულების** ვადის გასვლის ან ადრეული შეწყვეტის შემთხვევაში, **ანგარიშზე** არსებობს ფასიანი ქაღალდები, ისინი **კლიენტის დავალებების** საფუძველზე შესაძლოა გადატანილ იქნას მესამე პირთან არსებულ **კლიენტის** საკუთარ ანგარიშზე, რომელიც იმოქმედებს, როგორც **კლიენტის** ახალი კასტოდიანი ან ნომინალური მფლობელი. თუ **კლიენტი** არ იძლევა მითითებებს აღნიშნულ მესამე პირთან საკუთარ ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების გადატანის შესახებ, **კომპანია**, საკუთარი გადაწყვეტილებით, აფასებს ფასიან ქაღალდებს სამართლიანი ღირებულების მიხედვით და ყიდულობს მათ **კლიენტისაგან** ან ყიდის და გადაურიცხავს **კლიენტს** მის კუთვნილ თანხებს.

15.4. **კომპანია** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** სახსრების გადარიცხვამდე დაქვითოს **კომპანიის** კუთვნილი ყველა გასამრჯელო.

15.5. თუ ერთი თვის მანძილზე **კლიენტის** ანგარიშზე არის ნულოვანი **ანგარიშის ნაშთი** ან არასაკმარისი **ანგარიშის ნაშთი** იმისათვის, რომ დაიფაროს საანგარიშო გადასახდელები, **კომპანიას** უფლება აქვს მოახდინოს **ხელშეკრულების** ავტომატური შეჩერება შეტყობინების გარეშე იმ დრომდე, სანამ ანგარიშზე არ გაჩნდება საკმარისი თანხა გადასახდელის დასაფარად. **ხელშეკრულების** პირობები ხელახლა შევა ძალაში, როცა მოხდება **ანგარიშის** ხელმეორედ გააქტიურება. **ანგარიშის** ხელმეორედ გააქტიურება უსასყიდლოა.

15.6. წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **განაცხადის** ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ **ხელშეკრულების** პირობების თანახმად.

16. ფორს-მაჟორული პირობები

კომპანია თავისუფლდება პასუხიმგებლობისაგან ნებისმიერი ზარალის, ხარჯის ან ზიანის გამო, რომელიც მიადგება **კლიენტს** ან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თუ ასეთი გამოწვეული იყო მისი კონტროლის გარეთ არსებული მიზეზებით ნაციონალიზაციის, ექსპროპრიაციის, სავალუტო, საბანკო ან ფასიანი ქაღალდების სფეროსთან დაკავშირებული შეზღუდვების, ომის, ტერორისტული აქტების, აჯანყების, რევოლუციის, სამოქალაქო არეულობის, გაფიცვის, სტიქიური უბედურების, საგანგებო მდგომარეობის, ეპიდემიის, პანდემიის, სამთავრობო ორგანოების, სააგენტოების, ხელისუფლების ქმედებების ჩათვლით (მიუხედავად იმისა, მოქმედებდა თუ არა სახელისუფლებო ორგანო, სააგენტო და ხელისუფლება მისი უფლებამოსილების ფარგლებში), ასევე ემიტენტის, რეგისტრატორების და საფონდო ბირჟის ქმედებების ჩათვლით. ამ მე-16 მუხლის მოქმედება გრძელდება განურჩევლად ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერი შეწყვეტისა ან ვადის გასვლისა.

17. საერთო დებულებები

17.1. **ხელშეკრულების** ცვლილებები და დამატებები:

17.1.1. წინამდებარე **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული **კომპანიის** ნებისმიერი უფლების შეუზღუდავად და ზიანის მიყენების გარეშე, **კომპანიას** აქვს უფლება ნებისმიერ დროს **ვებ-გვერდზე** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების/გამოქვეყნების გზით ან/და **კომპანიისთვის** მისაღები სხვა ფორმით, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, შეცვალოს/დაამატოს ამ **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობები (დანართების ჩათვლით) **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა ან/და აქცეპტის გარეშე. ამასთან, აღნიშნული ცვლილებები/დამატებები შესაძლებელია შეეხოს, როგორც პირთა გარკვეულ ჯგუფს, ისე კონკრეტულ პირს. ამგვარი ცვლილება/დამატება სავალდებულოა **კლიენტისთვის** და ძალაში შედის შემდეგი წესის მიხედვით:

i. იმ შემთხვევაში, **ხელშეკრულების** ცვლილება/დამატება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, ან/და ცვლილება/დამატება ეხება ახალ მომსახურებას, რომელიც არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ მომსახურებას, ასეთი ცვლილება/დამატება ძალაში შედის მისი **ვებ-გვერდზე** განთავსების/გამოქვეყნების დღის მომდევნო **სამუშაო დღეს**, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება მოხდა სხვა ფორმით (არა **ვებ-გვერდზე** ინფორმაციის განთავსების/გამოქვეყნების გზით) - ასეთი ინფორმირების განხორციელების დღის მომდევნო **სამუშაო დღეს**.

ii. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** ცვლილება/დამატება აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას და არ ეხება ახალ მომსახურებას, რომელიც არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ მომსახურებას, ასეთი ცვლილება/დამატება ძალაში შედის მისი **ვებ-გვერდზე** განთავსების/გამოქვეყნების დღიდან 30-ე (ოცდამეათე) კალენდარულ დღეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება მოხდა სხვა ფორმით (არა **ვებ-გვერდზე** ინფორმაციის განთავსების/გამოქვეყნების გზით) - ასეთი ინფორმირების განხორციელების დღიდან 30- ე (ოცდამეათე) კალენდარულ დღეს. თუ **ხელშეკრულების** ამ ქვეპუნქტით (17.1.ii) გათვალისწინებული ცვლილების/დამატების ძალაში შესვლის დღე არ წარმოადგენს **სამუშაო დღეს**, ასეთი ცვლილება/დამატება ძალაში შევა ხსენებული დღის მომდევნო **სამუშაო დღეს**.

iii. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს **ხელშეკრულების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილის.

17.1.2. იმ შემთხვევაში თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულია ამ **ხელშეკრულების** ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე წინასწარ შეტყობინების ვადა, ნებისმიერი ასეთი ცვლილება/დამატება ჩაითვლება **კლიენტთან** შეთანხმებულად, თუ **კლიენტი** ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს **კომპანიას** რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას.

17.1.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ **ხელშეკრულების** 17.1.1 მუხლში ნახსენები **ვებ-გვერდზე** ინფორმაციის განთავსება/გამოქვეყნება მოიცავს ნებისმიერი ფორმით, სახით, საშუალებით ან ფორმატით (მათ შორის შეუზღუდავად, ვებ-გვერდზე არსებული **ხელშეკრულების** ტექსტის ცვლილებას/დამატებას/ჩანაცვლებას/ჩასწორებას) ინფორმაციის გავრცელებას, განთავსებას, გამოქვეყნებას ან/და მისი სხვა ფორმით ხელმისაწვდომად გახდომას.

17.2. თუ ამ **ხელშეკრულების** რომელიმე დებულება გახდება ან ჩაითვლება არაკანონიერად, ძალადაკარგულად ან განუხორციელებლად ნებისმიერ დროს, მხარეების იურისდიქციის კანონმდებლობით, ზემოაღნიშნული გავლენას არ იქონიებს **ხელშეკრულების** დანარჩენი დებულებების კანონიერებაზე, მოქმედებასა და განხორციელებაზე და მოხდება ძალადაკარგულ ან განუხორციელებელ დებულებებში ცვლილებების იმგვარად შეტანა, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებით მიღწეული შედეგი მაქსიმალურად დაუახლოვდეს მხარეების მიერ განზრახულ ეკონომიკურ შედეგს.

17.3. წინამდებარე **ხელშეკრულება** მაღლა დგას **მხარეებს** შორის ყველა ამ დრომდე არსებულ ზეპირი თუ წერილობითი სახის ხელშეკრულებაზე და მოლაპარაკებაზე.

17.4. **მხარეები** თანხმდებიან, რომ ყოველი მათგანი უფლებამოსილია ავტომატურად აწარმოოს **მხარეების** წარმომადგენლების სატელეფონო საუბრების ჩაწერა, რომელიც დაკავშირებულია ოპერაციების პირობების შესახებ მოლაპარაკებებთან და კონკრეტული დავალებების შესრულების მიცემასთან. ასევე, **მხარეები** არიან უფლებამოსილნი გამოიყენონ ეს ჩანაწერები, როგორც მათი ქმედების დამასაბუთებელი საფუძველი ოპერაციის განხორციელების და დავალებების მიღების დასაბუთების მიზნით. **კლიენტი** თანახმაა განხორცილდეს მსგავსი ჩანაწერები მისი და **კომპანიის** უფლებამოსილ პირებს შორის, თუ ასეთი საუბარი ეხება ოპერაციას და **კლიენტისათვის** მომსახურების გაწევის პირობებსა და პროცედურებს.

17.5. **კლიენტი** თანახმაა, რომ **მხარეებს** შორის ოპერაციის შესრულებასა და მნიშვნელოვან საკითებზე შეთანხმების დროს სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, როცა არსებობს **კლიენტის** მიერ **კომპანიისათვის** ზეპირი დავალებები, ასეთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გამოყენება იქნება სადავო საკითხზე მხარეთა სადავო პოზიციების საკმარისი და გონივრული მტკიცებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ არც-ერთი მათგანი არ არის წინააღმდეგი და არ შეუშლის ხელს ასეთი ჩანაწერების გამოყენებას სასამართლოს მიერ სადავო საკითხების გადაწყვეტის პროცესში და რომ დავების დარეგულირების დროს ასეთი ჩანაწერები გამოყენებული იქნება, როგორც მათი პოზიციების ობიექტური მტკიცებულება. მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლოა გაკეთდეს ჩანაწერის ნამდვილობის ექსპერტიზა.

18. შეტყობინებები

18.1. **მხარეები** აცხადებენ, რომ ამ **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის წინამდებარე მუხლში მოყვანილი ინფორმაცია და წინამდებარე **ხელშეკრულების** ნებისმიერი დანართი შეესაბამება სიმართლეს. **მხარეები** აცხადებენ მზადყოფნას, დაუყოვნებლივ, წერილობით ფორმით შეატყობინონ ერთმანეთს ამ ინფორმაციაში რაიმე ცვლილების შემთხვევაში. ყველა შეტყობინება, ანგარიში, ამონაწერები, დავალებები და სხვა, ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული, დოკუმენტები ჩაითვლება სათანადო ფორმით წარმოდგენილად, თუ ისინი შედგენილია

წერილობითი ფორმით და გაგზავნილია ელ-ფოსტით, ან მიტანილია ხელით მხარეების ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

კომპანიისთვის:
მისამართი: 0105, თბილისი, პუშკინის ქუჩა N3
ელ-ფოსტა: st@gt.ge
ტელეფონი: +995 32 2444 132

კლიენტისთვის:
განაცხადში მითითებულ მისამართებზე. ყოველგვარი ეჭვის, გამოსარიცხად, **განაცხადში** მითითებულ **კლიენტის** ფაქტობრივ მისამართზე ან/და ელ-ფოსტაზე ნებისმიერი კომუნიკაციის/დოკუმენტაციის გაგზავნა/მიღება ჩაითვლება ჯეროვან და მართებულ გაგზავნად/მიღებად ამ **ხელშეკრულების** მიზნებისთვის.

18.2. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **კლიენტი** ცალსახად ადასტურებს და აცხადებს, რომ **განაცხადში** ან/და ამ **ხელშეკრულებაში** მითითებული ყველა ინფორმაცია და მისამართი არის სრული, მართებული, ზუსტი და ნამდვილი და მოქმედი დროის კონკრეტული თარიღისთვის. **კლიენტი** იღებს ვალდებულებას, რომ ჯეროვნად და დროულად მოახდინოს ამ **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად **კომპანიის** ინფორმირება ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

18.3. განურჩევლად და მიუხედავად ამ **ხელშეკრულების** 18.1 მუხლისა, ყველა მითითება, ანგარიში, ანგარიშგება, შეტყობინება ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია/კომუნიკაცია, გარდა **დავალებ(ებ)ისა**, ჩაითვლება როგორც მართებული და ჯეროვანი, იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოდგენილია წერილობით (მათ შორის ელ-ფოსტის მეშვეობით) და არის გაგზავნილი ან მიღებული **კლიენტის დეშბორდის ანგარიშიდან** ან **ინტერნეტ ბანკიდან** (**ხელშეკრულების** 4.1 მუხლის პირობების შესაბამისად და გათვალისწინებით) ან **მხარის** მიერ ამ **ხელშეკრულების** 18.1 მუხლში მითითებული ერთ-ერთი მისამართიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, **დავალება** ჩაითვლება მართებულად და ჯეროვნად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კუმულატიურად დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- **დავალება** არის წერილობითი (მათ შორის ელ-ფოსტის მეშვეობით), და
- არის მიღებული **კლიენტის დეშბორდის ანგარიშიდან** ან ინტერნეტ ბანკიდან (**ხელშეკრულების** 4^1 მუხლის პირობების შესაბამისად და გათვალისწინებით) ან **კლიენტის** მიერ ამ **ხელშეკრულების** 18.1 მუხლში მითითებული ერთ-ერთი მისამართიდან, და
- **კომპანია** თავის პირად, სრულ და ულიმიტო დისკრეციის ფარგლებში დათანხმდა ამ **დავალების** შესრულებას და მის შესაბამისად მოქმედებას.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ხელშეკრულების ამ 18.3 მუხლს ენიჭება უპირატესობა **ხელშეკრულების** 18.1 მუხლთან მიმართებით.

19. მოქმედი კანონი და დავების მოგვარება

წინამდებარე **ხელშეკრულება**, მისგან წარმოშობილი ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული დავები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი ქმედება ან სამართალწარმოება განხილული იქნება საქართველოს სასამართლოს მიერ. მხარეები უპირობოდ აღიარებენ ზემოაღნიშნული სასამართლოს ექსკლუზიურ იურისდიქციას და ადასტურებენ, რომ არ მიმართავენ ნებისმიერ სხვა სასამართლოს საჩივრით ან აპელაციით.

20. სანქციებთან დაკავშირებული პირობები

20.1. **კლიენტი**, **კომპანიის** წინაშე და მის სასარგებლოდ აცხადებს, იძლევა გარანტიას და ამავდროულად კისრულობს, რომ:

20.1.1. **კლიენტზე** ან/და პირზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს **კლიენტს** (შემდგომში - „კლიენტის მაკონტროლებელი პირი“), **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არ ვრცელდება და მომავალში არ გავრცელდება, გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ (OFSI)), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) ან/და ევროპის კავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (UNSC) ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის (შემდგომში - „სანქციების ორგანო“) მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა, მოთხოვნა ან/და აკრძალვა;

20.1.2. **კლიენტი** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელი პირი** ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის **კლიენტი** ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს **კლიენტი**, **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არ არის აღრიცხული და მომავალში არ მოხვდება ნებისმიერი სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და სანქცირებული პირების სიაში (მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომელიც გამოცემულია/წარმოებულია **სანქციების ორგანოს** მიერ, **კომპანიისთვის ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად;

20.1.3. **კლიენტი** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირი**, **ხელშეკრულების** გაფორმებამდე არ ახორციელებდა, **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რაიმე ისეთ ქმედებას, გარიგებას ან/და ოპერაციას, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს **კლიენტის** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირის** მიერ **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა;

20.1.4. **კლიენტი** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირი**, **ხელშეკრულების** გაფორმებამდე არ ახორციელებდა, **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენას იმ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად, რომელიც დადგენილია **სანქციების ორგანოს** მიერ;

20.1.5. **კლიენტი** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელ პირი, ხელშეკრულების** გაფორმებამდე არ ახორციელებდა, **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არ ახორციელებს და მომავალში არ განახორციელებს, რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ისეთი ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ან/და მათ გაყიდვას, ექსპორტს, რეექსპორტს, იმპორტს, მიწოდებას, ტრანსპორტირებას ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობას, რომლის შეძენაც მოხდა **სანქციების ორგანოს** მიერ დადგენილ ზღვრულ ნასყიდობის ფასზე მაღალ ფასად;

20.1.6. **კომპანიის** მოთხოვნისთანავე, **კომპანიისთვის** მისაღები ფორმით, **კლიენტი** დაუყოვნებლივ მიაწოდებს **კომპანიას** ნებისმიერ და ყველა ინფორმაციას ან/და დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტის** მიერ:

20.1.6.1. რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობით ან/და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობასთან, ან/და

20.1.6.2. რუსეთის ფედერაციიდან ექსპორტირებული ან/და რუსული წარმოშობის ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების შეძენასთან, გაყიდვასთან, ექსპორტთან,

რე-ექსპორტთან, იმპორტთან, მიწოდებასთან ან/და ტრანსპორტირებასთან, ან/და ნებისმიერი ამგვარი ქმედების/საქმიანობის რაიმე ფორმით ხელშეწყობასთან.

20.1.7. **კლიენტი** დაუყოვნებლივ შეატყობინებს **კომპანიას** ნებისმიერი ისეთი გარემოების ან/და მოვლენის არსებობის/დადგომის შესახებ, რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს **კლიენტის** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელი პირის** მიერ **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევა ან/და თავიდან არიდება/გვერდის ავლა ან/და რომელმაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოიწვიოს **კლიენტის** ან/და **კლიენტის მაკონტროლებელი პირის სანქციების ორგანოს** მიერ გამოცემულ/წარმოებული ნებისმიერი სანქცირებული პირების სიაში შეტანა/შეყვანა.

20.2. **კომპანია** უფლებამოსილია, **კომპანიისთვის ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, იმოქმედოს **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, ან/და დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას **კლიენტისთვის** ნებისმიერი და ყველა მომსახურების გაწევაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, დახუროს **კლიენტის** ანგარიშები **კომპანიაში** ან/და შეაჩეროს/გააუქმოს/უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის ან/და ტრანზაქციის ან/და დავალების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში, თუ:

20.2.1. **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **ხელშეკრულების** 20.1. პუნქტში მის მიერ მოცემულ ნებისმიერ განცხადებასა და გარანტიას ან/და ნაკისრ ვალდებულებას; ან

20.2.2. მიუხედავად, ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოების არსებობისა ან/და **ხელშეკრულებაში** (მათ შორის წინამდებარე მუხლში) განსაზღვრული ნებისმიერი სხვა პირობის თუ დებულებისა, **კომპანია**, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჭიროდ/მიზანშეწონილად ჩათვლის, ასეთი ქმედების განხორციელებას, **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრულ სანქციებთან ან/და მოთხოვნილ ქმედებებთან, შესაბამისობაში მოსვლის მიზნებისთვის.

20.3. **კომპანიის** მოქმედება **სანქციების ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების შეწყვეტა, შეჩერება ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმა, არ ჩაითვლება **კომპანიის** მიერ **კლიენტის** წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად და **კომპანიას** არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა სანქციების **ორგანოს** მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით მოქმედებისთვის ან/და **სანქციების ორგანოს** მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისთვის ან/და **კლიენტისთვის** მომსახურების შეწყვეტისთვის, შეჩერებისთვის ან/და მომსახურების გაწევაზე უარის თქმისთვის.

20.4. **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიას** აუნაზღაუროს ნებისმიერი და ყველა სახის ზიანი (ზარალი), რომელიც **კომპანიას** წარმოეშობა **კლიენტის** მიერ ზემოთ მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის ან/და ვალდებულების დარღვევის შედეგად.

21. საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და უცხო ქვეყნის საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობის პირობები

21.1. უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტთან (FATCA) და აშშ-სა და საქართველოს შორის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებასთან (IGA) შესაბამისობის პირობები:

21.1.1. FATCA-ს მიზანია დაკმაყოფილდეს აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობით და IGA ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

21.1.2. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არის ფიზიკური პირი და ამავდროულად:

21.1.2.1. **კლიენტი** არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, **კლიენტი** ვალდებულია „გალტ ენდ თაგარტს“ წარმოუდგინოს აშშ-ს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნისა და დადასტურების ფორმა, რომელიც შედგენილია აშშ-ს შიდა შემოსავლების სამსახურის მიერ (იხილეთ ბმული: http://www.irs.gov/pub/irs-pdf/fw9.pdf) ან მისი შემცვლელი ფორმა, რომელსაც **კომპანია** წარუდგენს **კლიენტს** (ფორმა W-9);

21.1.2.2. **კლიენტი** არ არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, მაგრამ დაბადებულია აშშ-ში, **კლიენტი** ვალდებულია წარმოუდგინოს **კომპანიას** აშშ-ს საგადასახადო დაბეგვრისა და რეპორტინგის მიზნებისთვის ფიზიკური პირის უცხოური სტატუსის დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (იხილეთ ბმული: http://www.irs.gov/pub/irspdf/fw8ben.pdf) შესაბამის ახსნა განმარტებასთან (აშშ-ს მოქალაქეობაზე უარის თქმის ან მისი ვერ მოპოვების მიზეზის შესახებ) ან აშშ-ს მოქალაქეობის დაკარგვის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ან მისი შემცვლელი ფორმა, რომელსაც **კომპანია** წარუდგენს **კლიენტს** (ფორმა W-8BEN);

21.1.2.3. თუ **კლიენტი** არ არის აშშ-ს მოქალაქე ან/და აშშ-ს გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი, თუმცა **კლიენტს** აქვს იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი აშშ-ში ან/და რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი ან/და **კლიენტის** წარმომადგენელს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება **ანგარიშის** გახსნაზე, გააჩნია რეგისტრაციის/ფაქტობრივი მისამართი აშშ-ში - **კლიენტი** ვალდებულია წარმოუდგინოს **კომპანიას** აშშ-ს საგადასახადო დაბეგვრისა და რეპორტინგის მიზნებისთვის ფიზიკური პირის უცხოური სტატუსის დადასტურების ფორმა, რომელიც შემუშავებულია აშშ-ს შემოსავლების სამსახურის მიერ (იხილეთ ბმული: http://www.irs.gov/pub/irspdf/fw8ben.pdf), ან მისი შემცვლელი ფორმა, რომელსაც **კომპანია** წარუდგენს **კლიენტს** (ფორმა W-8BEN).

21.1.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე **ხელშეკრულების** 21.1.2. ქვეპუნქტის შესაბამისად **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიას** წარუდგინოს ფორმა W-9 ან ფორმა W-8BEN და წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებზე დათანხმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში **კლიენტი** არ წარუდგენს **კომპანიას** ფორმა W-9-ს ან ფორმა W-8BEN-ს (ვალდებულების შესაბამისად), **კომპანია** პასუხისმგებლობას არ იღებს აშშ-ს საგადასახადო კანონმდებლობით **კლიენტზე** დაკისრებულ პასუხისმგებლობაზე.

21.1.4. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არის იურიდიული პირი ან სხვა ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, ის ვალდებულია **კომპანიას** წარუდგინოს "უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) კითხვარი ორგანიზაციებისთვის", რომლის ფორმასაც **კომპანია** წარუდგენს **კლიენტს**.

21.1.5. FATCA-ს მიზნებისა და IGA ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად:

21.1.5.1. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ **კლიენტის** მიერ „გალტ ენდ თაგარტისთვის“ გადაცემული ინფორმაცია უტყუარი და ზუსტია;

21.1.5.2. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ სრულად ითანამშრომლებს **კომპანიასთან** მის მიერ FATCA-ს და IGA-ს ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;

21.1.5.3. **კლიენტი** ვალდებულია აცნობოს **კომპანიას** ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება მის მიერ მოწოდებულ ზემოაღნიშნული ფორმებში ასახულ ინფორმაციაში, აღნიშნული გარემოებების წარმოქმნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

21.1.5.4. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი კომპანიას** გადასცემს მესამე პირის პერსონალურ მონაცემებს, **კლიენტი** ვალდებულია აღნიშნული მონაცემების **კომპანიისთვის** გადაცემამდე კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოიპოვოს და შეინახოს თანხმობა აღნიშნული პირებისგან მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და **კომპანიისთვის** გადაცემის თაობაზე;

21.1.5.5. **კლიენტი** ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **კომპანიას** ის ზიანი/ზარალი, რომელიც შეიძლება დაეკისროს **კომპანიას**, წინამდებარე პირობების 21.1. პუნქტით გათვალისწინებული, FATCA-ს ან IGA ხელშეკრულების ფარგლებში **კლიენტის** ვალდებულებების დარღვევის გამო;

21.1.5.6. წინამდებარე პირობების 21.1. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში **კომპანია** უფლებამოსილია შესაბამის ორგანოს წარუდგინოს **კლიენტთან** დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია და შეინახოს **კომპანიაში** (მათ შორის, პერსონალური მონაცემები, საბროკერო ანგარიშების, ფინანსური ოპერაციების და ა.შ. შესახებ ინფორმაცია) იმისთვის, რომ **კომპანიამ** შეასრულოს უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) და საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამთავრობოთაშორისო შეთანხმების (IGA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები.

21.2. CRS რეგულაციასთან შესაბამისობის პირობები:

21.2.1. წინამდებარე პირობების 21.2. პუნქტის მიზნებისთვის, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

21.2.1.1. CRS რეგულაცია - „საგადასახადო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ 1988 წლის 25 იანვრის კონვენცია, მის შესაბამისად დადებული „ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ“ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივი შეთანხმება (CRS MCAA) ან საქართველოსა და შესაბამის იურისდიქციას შორის ფინანსური ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ შეთანხმება და მათ საფუძველზე მიღებული ნებისმიერი ნორმატიული/სამართლებრივი აქტი.

21.2.1.2. CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი - **კლიენტი**, რომელიც **CRS რეგულაციით** განსაზღვრულ შესაბამისი იურისდიქციის ქვეყანაში ფიქსირდება/შესაძლოა ფიქსირდებოდეს საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტად ან/და გააჩნია შესაბამისი იურისდიქციის გადასახადის გადამხდელის ნომერი, რის საფუძველზეც სავალდებულოა კლიენტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს **CRS რეგულაციით** განსაზღვრულ შესაბამისი იურისდიქციის ქვეყნების უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს.

21.2.2. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **CRS რეგულაციიდან** დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში:

21.2.2.1. საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, „CRS რეგულაციიდან“ გამომდინარე, ამავე რეგულაციით განსაზღვრულ შემთხვევებში **კომპანია** ვალდებულია, მოიპოვოს **კლიენტის** შესახებ **CRS რეგულაციით** განსაზღვრული ინფორმაცია და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვროს არის თუ არა „კლიენტი“ „CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი“. „კლიენტის“ „CRS ანგარიშგებას დაქვემდებარბულ პირად“ განსაზღვრის შემთხვევაში „კომპანია“ ვალდებულია მოპოვებული და მის ხელთ არსებული „კლიენტის“ შესახებ ინფორმაცია გადასცეს შესაბამის უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს;

21.2.2.2. **CRS რეგულაციის** საფუძველზე **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვება/დამუშავება ხდება იმ მიზნით, რათა დადგინდეს **CRS რეგულაციით** განსაზღვრულ შესაბამისი იურისდიქციის ქვეყანაში **კლიენტის** საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტად ყოფნის ფაქტი და მისი გადასახადის გადამხდელის ნომერი, რის საფუძველზეც აღნიშნული ინფორმაცია და **კლიენტის** შესახებ **კომპანიაში** არსებული ინფორმაცია (მათ, შორის და არა მხოლოდ ინფორმაცია, რომ პირი, არის/აღარ არის **კომპანიის** კლიენტი, ანგარიშის ნომერი, ანგარიშზე არსებული/ჩარიცხული თანხები) მიეწოდება შესაბამისი ქვეყნის/იურისდიქციის საგადასახადო ორგანოებს.

21.2.2.3. **CRS რეგულაციის** საფუძველზე **კომპანიის** მიერ **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას:

21.2.2.3.1. ანგარიშის გახსნის შესახებ განაცხადის/თვითდეკლარაციის ფორმის შევსების გზით **კლიენტის** მიერ გაცხადებული ინფორმაციის საფუძველზე, **კომპანია** ადგენს **კლიენტი** არის თუ არა **CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი;**

21.2.2.3.2. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ მოწოდებულ და **კომპანიის** ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ **კლიენტი** არის **CRS ანგარიშგებას დაქვემდებარებული პირი, კომპანია** **კლიენტის** შესახებ **კომპანიის** ხელთ არსებულ ინფორმაციას მიაწვდის უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს;

21.2.2.3.3. **კომპანია** არ არის ვალდებული და არ განსაზღვრავს **CRS რეგულაციის** მიზნებიდან გამომდინარე **კლიენტის** შესაბამის იურისდიქციაში საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტობის სტატუსს. შესაბამისად, **კომპანია** არ არის ვალდებული **კლიენტს** მისცეს რაიმე სახის მითითება/რჩევა აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ **კლიენტმა** არ იცის ან/და არ შეუძლია განსაზღვროს საგადასახადო რეზიდენტობა, **კლიენტმა** კონსულტაციისთვის უნდა მიმართოს შესაბამისი კვალიფიკაციის საგადასახადო სპეციალისტს/ორგანოს;

21.2.2.3.4. **კომპანია** უფლებამოსილია **კლიენტისგან** მოიპოვოს **კომპანიის** მიერ დადგენილი თვითდეკლარაციის სრულად/სათანადოდ შევსებული ფორმ(ებ)ი. აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია სრულად შეავსოს და **კომპანიას** გადასცეს თვითდეკლარაციის ფორმა;

21.2.2.3.5. **კომპანია** უფლებამოსილია უარი უთხრას **კლიენტს** ანგარიშის გახსნაზე, დახუროს არსებული ანგარიში, ან/და შეუზღუდოს ანგარიშით სარგებლობის უფლება, თუ **კლიენტი** უარს აცხადებს **კომპანიისთვის** თვითდეკლარაციის ფორმის წარდგენაზე ან/და **კომპანიის** მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე;

21.2.2.3.6. **კომპანია** უფლებამოსილია შეამოწმოს **კლიენტის** მიერ მისთვის წარდგენილი ინფორმაციის სისწორე/შესაბამისობა მის ხელთ არსებულ ან/და მოპოვებულ ინფორმაციასთან და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს **კლიენტისგან** კიდევ ერთხელ თვითდეკლარაციის ფორმის სრულად/სათანადოდ შევსება და **კომპანიისთვის** წარდგენა;

21.2.2.3.7. **კლიენტის** მიერ თვითდეკლარაციის ფორმის შეუსვებლობის ან/და წარუდგენლობის შემთხვევაში ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში **კომპანია** უფლებამოსილია შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მის ხელთ არსებული **კლიენტის** ინფორმაცია წარუდგინოს შესაბამის უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოებს, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირს – შემოსავლების სამსახურს;

21.2.2.3.8. **კლიენტის** შესახებ **კომპანიისთვის** მიწოდებული/**კომპანიის** ხელთ არსებული/მოპოვებული ინფორმაცია, მიეწოდება შესაბამის საგადასახადო ორგანოებს მხოლოდ **CRS რეგულაციით** გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

21.2.3. **კლიენტი** აცხადებს/თანახმაა, რომ:

21.2.3.1. **კლიენტის** მიერ **კომპანიისთვის** გადაცემული ინფორმაცია უტყუარი და ზუსტია;

21.2.3.2. მისთვის ცნობილია, რომ მის მიერ **კომპანიისთვის** მიწოდებული ინფორმაცია, ასევე **კლიენტის** შესახებ **კომპანიის** ხელთ არსებული ინფორმაცია, **CRS რეგულაციის** შესაბამისად, ზიარდება იმ ქვეყნის/იურისდიქციის საგადასახადო ორგანოებთან, სადაც **კლიენტის** მიერ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე, **კლიენტი** ფიქსირდება საგადასახადო/გადასახადის გადამხდელ რეზიდენტად;

21.2.3.3. დაუყოვნებლივ აცნობოს **კომპანიას** ნებისმიერი გარემოების ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი სახის ცვლილება მის მიერ თვითდეკლარაციის ფორმაში ასახულ ინფორმაციაში და **კომპანიის** მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს **კომპანიას** ახალი თვითდეკლარაციის ფორმა;

21.2.3.4. **კომპანიისთვის** ინფორმაციის გადაცემამდე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოიპოვოს თანხმობა იმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვის შესახებაც **კომპანიას** გადასცემს ინფორმაციას;

21.2.3.5. აქვს კითხვარის/თვითდეკლარაციის ფორმის **კომპანიისთვის** წარდგენის და მასზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

21.2.3.6. **კლიენტი** პასუხისმგებელია თვითდეკლარაციის ფორმით **კომპანიისთვის** მიწოდებულ ინფორმაციის სიზუსტეზე და უტყუარობაზე, ამასთან **კლიენტი** სრულად აგებს პასუხს ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კომპანიას კლიენტის** ნებისმიერი ქმედებიდან გამომდინარე, **CRS რეგულაციის** მოთხოვნილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არასათანადო შესრულების გამო.

22. პერსონალური მონაცემების დამუშავების ზოგადი პირობები

22.1. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

22.1.1. **კლიენტის პერსონალური მონაცემები** - **კლიენტის** შესახებ **კომპანიაში** ნებისმიერი ფორმით არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემი ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, მათ შორის, შეუზღუდავად:

22.1.1.1. ინფორმაცია საბანკო ან/და საბროკერო/სავაჭრო ანგარიშებისა და ფინანსური ოპერაციების შესახებ;

22.1.1.2. **კლიენტის** მაიდენტიფიცირებელი და საკონტაქტო მონაცემები;

22.1.1.3. ამ **ხელშეკრულების** და **კომპანიასა** და **კლიენტს** შორის გაფორმებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების ან/და წინარე ხელშეკრულების პირობები და მასში დაფიქსირებული მონაცემები;

22.1.1.4. **კომპანიის** მიერ **კლიენტისთვის** ნებისმიერი მომსახურების გაწევის პროცესში დამუშავებული/მოპოვებული მონაცემები;

22.1.1.5. ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც **კომპანიამ**:

22.1.1.5.1. პირდაპირ მიიღო **კლიენტისგან;**

22.1.1.5.2. მოიპოვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან;

22.1.1.5.3. მოიპოვა მესამე პირებისგან **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევის პროცესში;

22.1.1.5.4. შექმნა **კლიენტის** შესახებ მონაცემების ანალიზის შედეგად;

22.1.1.6. ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განიმარტება, როგორც პერსონალური მონაცემი;

22.1.2. **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან /და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან /და მხარდაჭერის მიზნით;

22.1.3. **პროფაილინგი** – მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას;

22.1.4. წინამდებარე მუხლში გამოყენებული სხვა ტერმინები განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

22.2. კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავების ზოგადი პირობები:

22.2.1. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **კომპანიის** უფლებაზე დაამუშაოს **კლიენტის პერსონალური მონაცემები**, როგორც უშუალოდ, ასევე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით, **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევის, **კომპანიისთვის** კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების, **კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების, საბროკერო პროდუქტებით სარგებლობის პროცესის მონიტორინგის, საბროკერო პროდუქტების / საბროკერო მომსახურების გაუმჯობესების, ახალი პროდუქტის შეთავაზების, კვლევის ან/და სხვა ლეგიტიმური მიზნებისთვის. მათ შორის **კომპანია** უფლებამოსილია:

22.2.1.1. **კომპანიის** მიერ კლიენტისთვის სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით მომსახურების გაწევისას ან/და ინფორმაციის მიწოდებისას, განახორციელოს **კლიენტის** სატელეფონო ზარის აუდიომონიტორინგი, **კომპანიის** ლეგიტიმური ინტერესების დაკმაყოფილების, მათ შორის, მომსახურების გაუმჯობესებისა და იურდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნის მიზნით. სატელეფონო ზარის აუდიომონიტორინგის განხორციელების თაობაზე, **კომპანია** დამატებით მოახდენს **კლიენტის** ინფორმირებას ყოველი ზარის განხორციელების დაწყებისას;

22.2.1.2. შეინახოს **კლიენტის კომპანიასთან** არსებული მიმოწერა (როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული) და სატელეფონო ჩანაწერები. ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მონაცემები (ინფორმაცია) შესაძლოა **კომპანიის** მიერ გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით, იგი წარმოადგენს **კომპანიის** საკუთრებას და აქვს იურიდიული ძალა;

22.2.1.3. დაუკავშირდეს **კლიენტს** მის მიერ **კომპანიაში** დაფიქსირებულ საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით ნებისმიერ საკომუნიკაციო არხის მეშვეობით (მათ შორის ტელეფონზე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სოციალურ ქსელში და ა.შ.). თუ

კლიენტის საკონტაქტო არხები ნებისმიერი ფორმით გასულია **კლიენტის** მფლობელობიდან/სარგებლობიდან, ან არსებობს რაიმე სხვა გარემოება, რამაც გამოიწვია პერსონალური მონაცემების მესამე პირის მიერ მიღება/მესამე პირისთვის გამჟღავნება, **კომპანია** არ აგებს პასუხს შეტყობინებების გაგზავნის/ზარების განხორციელების შედეგად შესაძლო ან დამდგარ ზიანზე/ზარალზე;

22.2.1.4. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვითა და **კომპანიაში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, **კლიენტის** მიერ ერთ საბროკერო მომსახურებასთან დაკავშირებით გადაცემული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები დაამუშაოს **კლიენტის** მიერ სხვა ნებისმიერი საბროკერო მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში **კომპანიის** ლეგიტიმური ინტერესების განხორციელების მიზნით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა დამუშავების მიზანი თავსებადია თავდაპირველ მიზანთან;

22.2.1.5. დაამუშაოს **კლიენტის** მიერ მიწოდებული, მესამე პირის ნებისმიერი პერსონალური მონაცემები და **კლიენტი** ვალდებულია **კომპანიისთვის** ინფორმაციის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მოიპოვოს თანხმობა იმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, ვის შესახებაც **კომპანიას** გადასცემს ინფორმაციას;

22.2.1.6. იმ შემთხვევაში თუ **კომპანიას** ჰყავს კლიენტი იურიდიული პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელია **კლიენტი**, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები, როგორც აღნიშნული იურიდიული პირის წარმომადგენლის მონაცემები. ასეთ, შემთხვევაში, **კომპანია კლიენტის** მონაცემებს დაამუშავებს **კომპანიისთვის** კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების, **კომპანიის** ლეგიტიმური ინტერესების დაცვის ან/და ზემოაღნიშნული იურიდიული პირისთვის მომსახურების გაწევის, ასევე პირდაპირი მარკეტინგული ხასიათის შეთავაზებებისა და საბროკერო მომსახურებების შესახებ ინფორმაციის/შეთავაზების მიწოდების მიზნით.

22.2.1.7. პერიოდულად მოიძიოს **კლიენტის პერსონალური მონაცემები,** რომელიც შესაძლებელია დაცული იყოს **საქ. ბანკში.**

22.3. კლიენტის პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების პირობები:

22.3.1. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **კომპანია** უფლებამოსილია დაამუშაოს (მათ შორის, უფლებამოსილი პირის მეშვეობით) **კლიენტის პერსონალური მონაცემები** (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, **კლიენტის** საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები) **პირდაპირი მარკეტინგის** განხორციელების მიზნებისთვის.

22.3.2. **კლიენტს** აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს, უსასყიდლოდ მოითხოვოს **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნით **კლიენტის პერსონალურ მონაცემთა** დამუშავების შეწყვეტა **კომპანიისთვის** შემდეგ საფოსტო მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით: თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3, ან შემდეგ ელფოსტაზე ელექტრონული შეტყობინების გაგზავნით: st@gt.ge. ასეთ შემთხვევაში, **კომპანია** შეწყვეტს **პირდაპირი მარკეტინგის** მიზნებისთვის **კლიენტის პერსონალურ მონაცემთა** დამუშავებას მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა და **კლიენტი** აღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებებს.

22.4. კლიენტის პერსონალური მონაცემების გადაცემის ზოგადი პირობები:

22.4.1. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **კომპანია** უფლებამოსილია **კლიენტის** დამატებითი, წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, გადასცეს **კლიენტის პერსონალური მონაცემები**:

22.4.1.1. საკურიერო კომპანიას, **კლიენტისათვის** შესაბამისი კორესპონდენციის გაგზავნის/ჩაბარების მიზნით;

22.4.1.2. სადაზღვევო კომპანიას, **კლიენტისთვის** შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების მიღების მიზნით;

22.4.1.3. პირს, რომელიც დაკავშირებულია/შესაძლებელია დაკავშირებული იყოს **დავალების** შესრულებასთან, აღნიშნული **დავალების** წარმატებით შესრულების მიზნით;

22.4.1.4. სამართალდამცავ ორგანოებს ან სხვა პირს, ზარალის თავიდან აცილებისა ან/და ანაზღაურების მიზნით, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების (მათ შორის, დანაშაულის აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების და ა.შ.) შესასრულებლად;

22.4.1.5. ნებისმიერ ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციებს/სამსახურებს, **კომპანიის** მიერ **კანონმდებლობით** განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მიზნით;

22.4.1.6. აშშ-ს ან ადგილობრივ შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაციებს/სამსახურებს, უცხოური ანგარიშების საგადასახადო შესაბამისობის აქტით (**FATCA**), აშშ-სა და საქართველოს შორის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით (**IGA**) და ანგარიშგების საერთო სტანდარტის (**CRS**) შესაბამისად **კომპანიის** მიერ შემუშავებული პროცედურით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით;

22.4.1.7. საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, **კომპანიის** მიერ დაფინანსების მოპოვების მიზნით;

22.4.1.8. **კომპანიისთვის** მომსახურების გამწევ ორგანიზაციებს, **კომპანიის** გარე აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩევლებს, კვლევით ორგანიზაციებს ან მსგავსი ფუნქციის მქონე პირებს (მათ შორის, სხვა სახელმწიფოში), აღნიშნული პირებისგან აუდიტორული, საკონსულტაციო, საშემფასებლო, კვლევითი ან სხვა მსგავსი მომსახურების მიღების მიზნით ან საბროკერო მომსახურების გაუმჯობესების კვლევის ჩატარების მიზნით;

22.4.1.9. **კომპანიის** სხვა კლიენტებს ან/და მესამე პირებს, **კლიენტისათვის** **კომპანიის** მიერ ან/და **კომპანიის** სხვა კლიენტის მიერ მომსახურების გაწევის მიზნით, **კომპანიის** მიერ განსაზღვრული ფორმითა და შინაარსით.

23.5. კლიენტის პერსონალურ მონაცემთა საერთაშორისო (სხვა სახელმწიფოში) გადაცემის პირობები:

23.5.1. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **კომპანიის** უფლებამოსილებაზე **კლიენტის** დამატებითი, წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, გადასცეს **კლიენტის პერსონალური მონაცემები** ნებისმიერ უცხო ქვეყნის სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებს/სამსახურებს ან/და ნებისმიერ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ კომპანიას (მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, როდესაც **კომპანია** თავისი საჭიროების ფარგლებში იღებს მომსახურებას უფლებამოსილი პირისგან) **კლიენტისათვის** ნებისმიერი **საბროკერო მომსახურების** გაწევის/გაუმჯობესების, **კანონმდებლობით** განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ან/და **კომპანიის** სხვა ლეგიტიმური ინტერესების განხორციელების მიზნით.

23.5.2. **კლიენტის პერსონალური მონაცემები** შესაძლოა გადაეცეს ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები. ასეთ შემთხვევაში, **კომპანია** უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებას, რომელიც უზრუნველყოფს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, **კლიენტის პერსონალურ მონაცემების** სათანადო დაცვას.

მომსახურების სახეობათა ტარიფები*

1. **ნომინალური მფლობელობის მომსახურება**

აღწერა	**გადახდის წესი**	**გასამრჯელო (ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული**)**	**შენიშვნა*****
ანგარიშის გახსნა	ყოველი ანგარიშისთვის	0	
ანგარიშის მართვა	ყოველი	10 ყოველთვიურად	

	ანგარიშისთვის		
ანგარიშის დახურვა	ყოველი ანგარიშისთვის	0	
ფასიანი ქაღალდების ფლობა (შენახვა)	ყოველთვიური	ა) 0; ბ) შეფასების მეთოდით დადგენილი პორტფელის საბაზრო ღირებულების 0.005% (მინიმუმ 1 ლარი); გ) შეფასების მეთოდით დადგენილი პორტფელის საბაზრო ღირებულების 0.005% (მინიმუმ 10 ლარი) ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდების და 0.015% აქციების შემთხვევაში (მინიმუმ 10 ლარი); დ) შეფასების მეთოდით დადგენილი ფასიანი ქაღალდების პორტფელის საბაზრო ღირებულების 0.007% (მინიმუმ 1 ლარი); ე) ინდივიდუალური, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.	ა) ადგილობრივი არამატერიალიზებული წილობრივი ფასიანი ქაღალდი (წილი/აქცია, მათ შორის, პრივილეგირებული აქცია); ბ) ადგილობრივი ფიქსირებული შემოსავლის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი; გ) უცხოური არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, გარდა Bank of Georgia Group PLC და Georgia Capital PLC-ის აქციებისა დ) Bank of Georgia PLC და Georgia Capital PLC-ის აქციების შემთხვევაში; ე) იმ ბაზრებისთვის / ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სადაც გალტ ენდ თაგარტის ხარჯები აღემატება ა), ბ), გ) და დ) პუნქტებში მოცემულ საკომისიოებს.
ქართული ფასიანი ქაღალდების მიღება (ანგარიშზე ჩარიცხვა/ანგარიშიდან ჩამოწერა)	ყოველი ოპერაციისათვის	0	+ რეგისტრატორის, დეპოზიტარისა ან/და სხვა ხარჯები
- კომპანიის ნომინალური მფლობელის სისტემის შიგნით.	ყოველი ოპერაციისათვის	0	+ ყველა გაწეული ხარჯი
-კომპანიის ნომინალური მფლობელის სისტემის გარეთ	ყოველი ოპერაციისათვის	0	+ რეგისტრატორის, დეპოზიტარისა ან/და სხვა ხარჯები
უცხოური ფასიანი ქაღალდების მიღება/მიწოდება გარიგების ანგარიშსწორებისას (ანგარიშზე ჩარიცხვა/ანგარიშიდან	ყოველი ოპერაციისათვის	50	წვრილი (მინორიტარი) აქციონერის შემთხვევაში, უცხოური ფასიანი ქაღალდების მიღება /მიწოდების საკომისო შესაძლებელია შეთანხმდეს მხარეებს

ჩამოწერა)			შორის და დაფიქსირდეს დავალების ბილეთში.
“Stamp Tax” _ დიდი ბრიტანეთის მოსაკრებელი ბრიტანული ფასიანი ქაღალდების შეძენაზე	ყოველი ოპერაციისათვის	გარიგების ღირებულების 0.5%	დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული გადასახადი ლოკალური ბრიტანული აქციებისთვის, რომელიც შეიძლება შეყვანილ იქნეს საბროკერო საკომისიოში ან განცალკევდეს სავაჭრო დავალების ბილეთში.
ფასიანი ქაღალდების ყველა სახის კონვერტაცია (გადაცვლა)	თითო ფასიან ქაღალდზე	ა) 0.01 ლარი ბ) 0.06 აშშ დოლარი	ა) ფასიანი ქაღალდების კონვერტაციის საკომისიო ბ) გამოიყენება დამატებით („ა“ საკომისიოსთან ერთად) დეპოზიტარული ხელწერილების კონვერტაციის შემთხვევაში. + ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები (რეგისტრატორის, დეპოზიტარის, კასტოდიანის ან/და სხვა.)
ფასიანი ქაღალდების დაბლოკვა, დაგირავება, გაჩუქება	ყოველი ოპერაციისათვის	საბაზრო ღირებულების 0.1% (მინ. 20, მაქს. 5000)	კლიენტის მოთხოვნით
ფასიანი ქაღალდების კუპონის დაბლოკვა, დაგირავება	ყოველი ოპერაციისთვის	10 ლარი	მითითებული საკომისიო კლიენტს დაერიცხება დაგირავებული კუპონის კლიენტის ანგარიშზე თითოეული ჩარიცხვის ან/და მოგირავნისთვის გადარიცხვის თითოეულ ოპერაციაზე
უცხოური ვალუტის გადარიცხვა კონკრეტული ბანკის ფარგლებს გარეთ	ყოველი ოპერაციისათვის	0.1% (მინ 10 აშშ დოლარი)	++ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯებს (ბანკი, შუამავალი და სხვა)
ანგარიშზე ფასიანი ქაღალდების შეტანა/ გადატანა ბენეფიციარის შეცვლის გარეშე.		0.02% საბაზრო ღირებულების (მინ. 50 ერთეული ფასიანი ქაღალდის შესაბამის ვალუტაში, თითოეული ISIN-სთვის)	თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული მხარეებს შორის. + ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯებს (რეგისტრატორის, დეპოზიტარის, კასტოდიანის ან/და სხვა.)

2. საბროკერო მომსახურება

აღწერა	გადახდის წესი	გასამრჯელო (ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული**)	შენიშვნა***
აქციები			
ყიდვა/გაყიდვა	ყოველ გარიგებაზე	% გარიგების მოცულობიდან	ზუსტი ტარიფი ან თანხა განისაზღვრება შესაბამისი სავაჭრო დავალების ბილეთში მხარეებს შორის შეთანხმებით. მინიმუმ 0.035 აშშ დოლარი ერთ აქციაზე იმ აქციებისთვის რომლებიც ივაჭრება აშშ-ში ან/და კანადაში.
ობლიგაციები			
საქართველოს სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები	თითოეულ ჩატარებულ გარიგებაზე	მთლიანი თანხის 0.3%-მდე (მინიმუმ 200 ლარი)	ზუსტი ტარიფი განისაზღვრება სავაჭრო დავალების ბილეთში და უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის გარიგების განხორციელებამდე.
სუვერენული და კორპორატიული ობლიგაციები	თითოეულ ჩატარებულ გარიგებაზე	მთლიანი თანხის 0.5%-მდე	ზუსტი ტარიფი განისაზღვრება სავაჭრო დავალების ბილეთში და უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის გარიგების განხორციელებამდე.
სხვა ფასიანი ქაღალდები	თითოეულ ჩატარებულ გარიგებაზე		ზუსტი ტარიფი განისაზღვრება სავაჭრო დავალების ბილეთში და უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის გარიგების განხორციელებამდე.

3. სხვა მომსახურება კორპორატიული საკითხები

აღწერა	გადახდის წესი	გასამრჯელო (ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული**)	შენიშვნა***
ემიტენტისაგან (რეგისტრატორი, დეპოზიტარი) კორპორატიულ ქმედებათა შესახებ (საერთოს წლიური კრება, რიგგარეშე კრება, ახალი ემისიის პროსპექტები, კომპანიის ანგარიშები) ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება	ყოველი ემიტენტისათვის	50 ლარი + ყველა გონივრული ხარჯი	კომპანია არ არის პასუხისმგებელი იმ ზარალზე, რომელიც შესაძლოა კლიენტს მიადგეს ემიტენტის მიერ ან თარგმანის გამო კლიენტისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებით. სავალდებულო ინფორმაციის მიწოდება ხდება უსასყიდლოდ.

კლიენტის/ინფორმაციის გამავრცელებლის მოთხოვნის საფუძველზე.			
საერთო წლიურ კრებაზე, რიგგარეშე კრებაზე დასწრება და კენჭისყრაში მონაწილეობა.	ყოველი კრებისათვის	თანმხლები ხარჯები	უსასყიდლოა, თუ კომპანია კრებას ესწრება კომპანიის ან კლიენტთა დიდი ჯგუფის ინტერესების დასაცავად + კომპანიის გადაწყვეტილებით და მისი მხრიდან წინასწარი მოთხოვნის საფუძველზე, ყველა დაკავშირებული ხარჯი, რომელიც კომპანიას შეუძლია გადაანაწილოს კლიენტებზე პროპორციულად

4. დივიდენდები

აღწერა	**გადახდის წესი**	**გასამრჯელო (ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული**)**	**შენიშვნა*** **
დივიდენდის კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხვა	ყოველ ემიტენტზე	უფასო	+ დაკავშირებული ხარჯები (მათ შორის რეგისტრატორის, კასტოდიანის დეპოზიტარის შესაბამისი ხარჯები)
სხვა მომსახურება ნებისმიერი სხვა ფინანსური მომსახურება	თითოეულ ჩატარებულ გარიგებაზე	მხარეთა შეთანხმებით	ზუსტი ტარიფი განისაზღვრება სავაჭრო დავალების ბილეთში და უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის გარიგების განხორციელებამდე.

5. ანგარიშები

აღწერა	**გადახდის წესი**	**გასამრჯელო (ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული**)**	**შენიშვნა*** **
წინა დღეს განხორციელებულ ოპერაციებზე გარიგების დადასტურების მომზადება და მიწოდება	ყოველ გარიგების დადასტურებაზე	0	მომდევნო დღეს
ყოველთვიური ამონაწერების მომზადება და მიწოდება	ყოველ ამონაწერზე	0	თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში

გარდა სავალდებულო ანგარიშების წარდგენისა, კლიენტის მოთხოვნით დამატებითი ამონაწერების და ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მომზადება და მიწოდება	ყოველ ამონაწერზე	10	კლიენტის მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში

*„მომსახურების სახეობათა ტარიფები“ წარმოადგენს საბროკერო მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. „გალტ ენდ თაგარტი“ უფლებამოსილია განსაზღვროს განსხვავებული/ინდივიდუალური ტარიფები „კლიენტისთვის“ მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „კლიენტისთვის“ გაწეული სერვისის დონეების, მოცულობის, „კლიენტის“ კატეგორიის, ტიპის, ვაჭრობის მოცულობისა ან/და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „კლიენტის“ ინდივიდუალიზებულ საკომისიოებს, რომლებიც მიეწოდება მას (მათ შორის, ელ. ფოსტის საშუალებით) ენიჭება უპირატესობა.

**ტარიფები მოცემულია დღგ-ს გარეშე, რომლის გადახდაც სავალდებულოა ოპერაციის ზოგიერთ სახეზე

***შენიშვნა: საკომისიოები უფრო მაღალი შეიძლება იყოს რიგ მომსახურებებზე/პროდუქტებზე, სადაც „გალტ ენდ თაგარტს“ ექნება უფრო მაღალი ხარჯები. იმ მომსახურების საკომისიოები, რომლებიც შესაძლოა არ იყოს გათვალისწინებული წინამდებარე „მომსახურების სახეობათა ტარიფებში“, ეცნობება „კლიენტს“ ინდივიდუალურად.